585
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

ბრონლეტარიელო
ეგელა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 11

1989

უზენაესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 11 (592) ნოემბერი 1989 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

222. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

223. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

224. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. რ. საჯაიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

225. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ალავიძის საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

226. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ნ. რ. ნათაძის, მ. გ. ფიდანიანის, ა. გ. გოგელიას, მ. ი. მამედოვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ზ. ჭავჭავაძის, მ. მ. ქორქაშვილის, ნ. ᲗᲐᲜᲓᲔᲡᲘᲡ. მგალობლიშვილის, დ. ა. ᲮᲐᲠᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, რ. ვ. გორდეზიანისა და მ. ა. გოხელაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

227. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ო. ე. ჩერქეზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

228. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

229. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ბ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

230. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ა. დ. ზურაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

231. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ჭ. ს. მამედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

232. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ჯ. ვ. მარგველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

233. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ჯ. ი. პატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

234. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. ᲗᲘ. ქოჩრიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

235. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. რ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

236. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ა. ნ. თავხელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

237. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. დ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

238. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ლ. ლ. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

239. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ე. ნ. შონგელაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

240. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ჯ. ა. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

241. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

242. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

243. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

244. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ საბალო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ.

245. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის გამო.

246. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში ინტეგრაციული პროცესების შესწავლის და ამ მიმართულებით დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის საკითხთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის ინფორმაციის შესახებ.

247. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების საკითხზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ.

248. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წევრებისა მიერ საბჭოთა სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოხდის საკითხებზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ.

249. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის შესახებ.

250. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ოცდამეერთე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ.

251. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

252. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

253. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის სახელმწიფო ბუჯეტის შესახებ.

254. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

255. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნის შესახებ.

256. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1. ბიულეტენში 1989 წლის 9 აპრილს მოხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნის შესახებ.

257. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობიდან ზოგიერთი დეპუტატის განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

258. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ **[illegible]საბ-ჭოს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.**

259. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი **საბ-ჭოს ამნარაციის საკითხთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.**

260. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი **საბ-ჭოს საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.**

261. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი **საბ-ჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდ-მივი კომისიის ეკოლოგიის საკითხთა მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ.**

262. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ი. გ. გვერდწითელის **სა-ქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის საკითხთა მუდმივი კომისიის თავ-მჯდომარედ არჩევის შესახებ.**

263. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში რე-ფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) ჩატარების წესის შემმუშავებელი კო-მისიის **შექმნის შესახებ.**

264. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება ენის შესახებ **საქართველოს სსრ კა-ნონის პროექტის შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ.**

265. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი **სანიერბების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.**

266. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმული საკითხთა შემსწავლელი კომისიის არჩევის შესახებ.**

267. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი **საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ.**

268. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა **და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის შესახებ.**

269. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში **გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ.**

270. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს **სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.**

271. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს **სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.**

272. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ **კონ-ტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

273. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ **ზო-გიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქარ-თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

274. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

275. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

276. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებისა და რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

277. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნისა“ და ამ დადგენილებაში დამატებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების დამტკიცების თაობაზე.

278. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

განაჩენილება მეორე

279. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

280. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ხ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

281. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

282. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

283. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. კობერიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

284. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. შ. კოკოევასათვის „საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

285. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ს. სვანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

286. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ქეკნიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

287. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ღუდუშაურისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

288. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. ალექსიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

289. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგნოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

222 ამხ. ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ბორის ერასტის ძე **სარალიძე** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 4 ნოემბერი.
№ 2384—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

223 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ

1989 წლის 10 ნოემბერს შედგა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა საკითხები:

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შესახებ;

ოსური ენის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლის შესახებ.

გადაწყვეტილება სესიის 10 ნოემბერს მოწვევის შესახებ საოლქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო 9 ნოემბერს ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენელთა მუქარითა და ზეგავლენით. ოლქის პროკურორის პროტესტის საფუძველზე საოლქო საბჭოს აღმასკომმა გაუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სესიის მოწვევის დღედ განსაზღვრა 25 ნოემბერი.

მიუხედავად აღნიშნულისა, „ადამონ ნიხასის“ აქტიური ზემოქმედებით სესია მაინც გაიმართა 10 ნოემბერს.

სესია ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის მეორმოცე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რომლის თანახმად სესიის ჩატარების დრო, ადგილი, აგრეთვე განსახილველად შესატანი საკითხები სა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქო საბჭოს აღმასკომს დეპუტატებისა და მოსახლეობისათვის ორი კვირით ადრე მაინც უნდა ეცნობებინა.

აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა მით უფრო მიუტევებელია, რადგან სესიაზე იხილებოდა ოლქის მთელი მოსახლეობისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხები.

იმის გამო, რომ უხეშად დაირღვა სესიის მოწვევისა და ჩატარების წესი და განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც საოლქო საბჭოს უფლებამოსილებას აღემატება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 115-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებები, როგორც კანონთან შეუსაბამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერაძეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 1989 წლის 16 ნოემბერი.
№ 2401—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

224 ამხ. ნ. რ. საჯაიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნუგზარ რაჟდენის ძე **საჯაია** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 21 ნოემბერი.
№ 2402—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

225 **ამხ. ვ. ი. ალავიძის საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ვილენ ისიდორის ძე **ალავიძე** საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშგარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 22 ნოემბერი.
№ 2403—XI

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

226 **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკუტატების ნ. რ. ნათაძის, მ. გ. ფიდანიანის, ა. გ. ბოგელიას, მ. ი. მამედოვის, ნ. ზ. ჭავჭავაძის, მ. მ. ქორქაშვილის, ნ. პ. მგალობლიშვილის, დ. ა. ხახუტაიშვილის, რ. ვ. გორდეზიანისა და მ. ა. ბოხელაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ნოდარ რევაზის ძე **ნათაძის**, მამიკონ გეგორქის ძე **ფიდანიანის**, არჩილ გრიგოლის ძე **ბოგელიას**, მურად იახია ოღლი **მამედოვის**, ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძის**, მირზა მიხეილის ძე **ქორქაშვილის**, ნუგზარ პეტრეს ძე **მგალობლიშვილის**, დავით ახმედის ძე **ხახუტაიშვილის**, რისმაგ ბენიამინის ძე **გორდეზიანის** და მერაბ ალექსის ძე **ბოხელაშვილის** უფლებამოსილება, რომლებიც აირჩიეს 1989 წლის 27 აგვისტოს, 10 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს მცხეთის რაიონის № 99 დიღმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაგვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარ
ჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაკულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 161—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

227 დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავი-სუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

დაკმაყოფილდეს დეპუტატ ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზიას** თხოვნა საქართ-ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაკულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 162—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

228 დეპუტატ ბ. ბ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი გივი გრიგოლის ძე **გუმბარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაკულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 163—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

229 დეპუტატ ბ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ბორის ილიას ძე **ვაშაკიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 164—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

230 დეპუტატ ა. დ. ზურაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ავლიპი დავითის ძე **ზურაბაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 165—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

231 დეპუტატ ჟ. ს. მამედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლდეს დეპუტატი ქამილ სულეიმან ოღლი **მამედოვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 166—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

232 დეპუტატ ჯ. ვ. მარგველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ჯემალ ვარდენის ძე **მარგველიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 167—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

233 დეპუტატ ჯ. ი. პატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ჯუმბერ ილიას ძე **პატიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 168—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

234 დეპუტატ ვ. ჰ. ქოჩოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ვასილ ჰაიკის ძე **ქოჩოიანი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 169—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

235 დეპუტატ ვ. რ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვარცენტი რომანოზის ძე **აბზიანიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 170—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

236 დეპუტატ ა. ნ. თავხელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ იქნეს დეპუტატი ალბერტ ნიკიფორეს ძე თავხელიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 171—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

237 დეპუტატ გ. დ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 172—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

238 დეპუტატ ლ. ლ. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ლანა ლევანის ასული **ღოღობერიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 173—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

239 დეპუტატ ე. ნ. შენგელაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 174—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

240 დეპუტატ ჯ. ა. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ჯანსუღ ავდიდის ძე **ჩარკვიანი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 17 ნოემბერი.
№ 175—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

241 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

იღებს რა მხედველობაში იმას, რომ სსრ კავშირში დაწყებული რევოლუციური გარდაქმნის პროცესი, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის განმტკიცებისა და გაფართოების აუცილებლობას, პოლიტიკურ ინსტიტუტების და საარჩევნო სისტემის მკვეთრ დემოკრატიზაციასა და სრულყოფას, საბჭოთა ფედერაციის რადიკალურ განახლებას;

ითვალისწინებს რა იმას, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის შედეგად სსრ კავშირი ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოდ იქცა, რის გამოც საქართველოს სს რესპუბლიკის სუვერენიტეტს გამოეცალა რეალური საფუძველი;

მიიჩნევს რა აუცილებლად ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში საქართველოს სუვერენული ინტერესების ახალ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) სრულ ასახვას;

ითვალისწინებს რა აგრეთვე იმას, რომ უკვე დღეს, ამ გარდამავალ პერიოდში, საჭიროა საქართველოს სს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში ისეთი შესწორებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დაცვასა და განმტკიცებას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. მე-10, მე-11 და 69-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ფორმებია:

სახელმწიფო (საერთო-სახალხო), კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური და შერეული საკუთრება.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების, საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა ემსახურება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ზრდას, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და პიროვნების ყოველმხრივ და თავისუფალ განვითარებას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად და დაცულია საქართველოს სსრ კანონმდებლობით, თითოეული მათგანისათვის იქმნება განვითარების ხელშემწყობი პირობები.

მუხლი 11. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე კონტინენტური შელფის ბუბუნებრივი რესურსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკას მის სანაპიროს მიმდებარე შავი ზღვის ეკონომიკურ ზონაში აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, სავაჭრო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე რესპუბლიკის მოცანების განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება".

„მუხლი 69. საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. ეს უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია.

დაუშვებელია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტით ან სხვა გზით სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმება ან შეზღუდვა.

სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საქართველოს სსრ გასულად ითვლება სსრ კავშირის შემადგენლობიდან.

იგივე შედეგი მოყვება უარს — დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოთხოვნა სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების შემზღუდველი საკავშირო აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ. საკითხს იმის შესახებ, იზღუდება თუ არა საქართველოს სს რესპუბლიკის უფლება სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლისა, წყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო".

2. 74-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის საბალო დეპუტატთა ყრილობაზე".

3. 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 77. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ცნობს, რომ ისინი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. ამასთან, წარუდგენს სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტსა და შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების გამომცემ ორგანოს წინადადებებს რესპუბლიკის ინტერესებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს აქტები არ მოქმედებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე".

4. მეათე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

79 8 22

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თ ა ვ ი 10

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები

მუხლი 85. სახალხო დეპუტატთა საბჭოები — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ.

მუხლი 86. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს ოთხი თვისა შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების დეპუტატთა, ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების ვადებსა და დანიშვნის წესს განსაზღვრავენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები.

მუხლი 87. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისად უზენაესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, ანდა გადაიცემა მათ მიერ რეფერენდუმისათვის.

უზენაესი საბჭოები ირჩევენ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ირჩევენ საბჭოების თავმჯდომარეებს. უზენაეს საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების გამოკლებით, აქვთ თავიანთი პრეზიდიუმები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან მუდმივ კომისიებს, აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე მათ წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირებს, მოსამართლეთა გამოკლებით, არ შეუძლიათ დაიკავონ თავიანთი თანამდებობანი ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება ადამდე განთავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

მუხლი 88. სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს უხამებენ მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კონტროლის ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებენ კანონმდებლობის მოთხოვნების, სახელმწიფო პროგრამებისა და დავალებების შესრულებას; იბრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებების, უყაირათობისა და მფლანგველობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; კორდინაციას უწევენ სხვა საკონტროლო ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის სრულყოფას.

მუხლი 89. სახალხო დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მუხლი 90. სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უდვეს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება მათ და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს, მოქალაქეთა განსახილველად გამოაქვთ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მოქალაქეებს თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ".

5. მეთერთმეტე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ ა ვ ი 11

საარჩევნო სისტემა

მუხლი 91. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 92. სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად — 21 წელს მიღწეული მოქალაქე.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახალხო დეპუტატი სახალხო დეპუტატთა ორზე მეტ საბჭოში.

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამ ორგანოების თავმჯდომარეებისა, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები, ზემოთ აღნიშნულ პირთა მოადგილეები, მოსამართლეები და სახელმწიფო არბიტრები არ შეიძლება იყვნენ შესაბამისი საბჭოს დეპუტატები.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში იმყოფებიან.

მუხლი 93. სახალხო დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს; ამომრჩეველები არჩევნებში მონაწილეობენ თანასწორ საფუძველზე.

მუხლი 94. სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს ამომრჩეველები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 95. სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

მუხლი 96. სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ შრომითის კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი შეზღუდული არ არის; წინასაარჩევნო კრების ყოველ მონაწილეს შეუძლია განსახილველად წარმოადგინოს ნებისმიერი კანდიდატურა, მათ შორის — საკუთარიც.

საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილ იქნეს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატები დასახელების მომენტიდან თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ თანხებს გაიღებს შესაბამისი საარჩევნო კომისია ერთიანი ფონდიდან, რომელიც დეპუტატობის თითოეული კანდიდატისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სახელმწიფოს, საწარმოების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების ხარჯზე.

მუხლი 97. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ღიად და საჯაროდ მზადდება.

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს გარანტირებული აქვთ სახალხო დეპუტატების კანდიდატთა პოლიტიკური, სქემიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე, კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 98. ამომრჩეველები განაწესებენ ძალიანეს თავიანთ დეპუტატებს. ამომრჩეველთა განაწესებს სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს წარუდგენს სახალხო დეპუტატი.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და მიუჯეტის შედგენის, აგრეთვე სხვა საკითხებზე გადაწყეტილებათა მომზადების დროს, ორგანიზაციას უწევენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათი რეალიზაციის შესახებ".

6. მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 100. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას. როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

უზენაესი საბჭოს ან ადგილობრივი საბჭოს სესიის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და მას უნაზღაურდება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი მიუჯეტის სახსრებიდან".

7. 101-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების წინაშე, რომლებიც ვალდებულნი არიან უპასუხონ შეკითხვის წესით დაყენებულ ამ საკითხს უზენაესი საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესიაზე".

8. 103-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 103. დეპუტატი ვალდებულია თავისი მუშაობის, უზენაესი საბჭოს ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს მუშაობის თაობაზე ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს, კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს".

9. მეცამეტე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თ ა ვ ი 13

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო

მუხლი 104. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს სსრ გადაგებლობას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო:

1) იღებს საქართველოს სსრ კონსტიტუციას, ცვლილებები შეაქვს მასში;

2) განიხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს;

3) იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე, **რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება;**

4) განიხილავს სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს;

5) განიხილავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

6) აყალიბებს საქართველოს სს რესპუბლიკის საშინაო-პოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

7) ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ გეგმებსა და უმნიშვნელოვანეს საერთო-რესპუბლიკურ პროგრამებს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს; განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს; აკონტროლებს გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებს მათი შესრულების ანგარიშებს; საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვს გეგმებსა და ბიუჯეტში;

8) **უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;** საქართველოს სს რესპუბლიკის **კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკუთრების ურთიერთობათა, სახალხო მეურნეობის მართვისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ორგანიზაციის, საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის, შრომის ანაზღაურებისა და ფასწარმოქმნის, დაბეგვრის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, საქართველოს სსრ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების, რეალიზაციის წესის, აგრეთვე სხვა ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირებას;**

9) **განმარტავს** საქართველოს სსრ **კანონებს;**

10) **აღგენს** სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის **წესს;** **განსაზღვრავს** რესპუბლიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამართლებრივ სტატუსს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

11) განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას; ქმნის ქალაქებს რაიონებში და ქალაქების რაიონებს, ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას; სახელს უცვლის რაიონებს, ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს;

12) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას; ქმნის რესპუბლიკური დაქვემდებარების ახალ რაიონებსა და ქალაქებს;

13) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების, ქალაქების რაიონების სახელის დარქმევასა თუ გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევას;

14) წარმართავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას;

15) იღებს გადაწყვეტილებებს სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობის შესახებ;

16) ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს;

17) ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

18) ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მის მიერ წარმოდგენილი საპროგრამო განცხადების განხილვის შემდეგ;

19) ირჩევს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტსა და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს; ნიშნავს საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს;

20) ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიას და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს;

21) ირჩევს საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს;

22) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას, შეაქვს მასში ცვლილებები; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს;

23) რეგულარულად ისმენს მის მიერ შექმნილი ან არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ დანიშნულ ან არჩეულ თანამდებობის პირთა ანგარიშებს; წყვეტს საქართველოს სსრ თავმჯდომარისადმი და თავმჯდომარის ცალკეული წევრებისადმი ნდობის საკითხს;

24) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს იმას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

25) აუქმებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებსა და დადგენილებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს;

26) აუქმებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს;

27) ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს; ამტკიცებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას; ნიშნავს ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნებს;

28) ახდენს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა და დენონსაციას;

29) აწესებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს;

30) გამოაცემს აქტებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა ამნისტიის შესახებ.

31) ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო იღებს საქართველოს სსრ კანონებსა და დადგენილებებს.

მუხლი 105. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო შედგება 300 დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, სადაც ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობაა.

მუხლი 106. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმი საქართველოს სსრ ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს იწვევს არჩევნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

მუხლი 107. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო მის მიერ არჩეული საკანდიდატო კომისიის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სხდომას ხსნის და უძღვება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. შემდეგ კი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

მუხლი 108. საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს ყოველწლიურად იწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მორიგ — საგაზაფხულო და საშემოდგომო — სესიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგგარეშე სესიებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი იწვევს თავისი ინიციატივით, საქართველოს სრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შემადგენლობის სულ ცოტა მესამედის წინადადებით, ასევე აფხაზეთის ასსრ თუ აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წინადადებით.

მუხლი 109. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია შედგება მისი სხდომებისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი და სხვა კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც უზენაესი საბჭოს სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა.

მუხლი 110. საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს, საქართველოს სსრ პროკურორს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

მუხლი 111. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს განსახილველად შემოტანილი კანონპროექტები და სხვა საკითხები განიხილება მის სხდომებზე. კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება მისი ინიციატივით ან აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების წინადადებით, შეიძლება გამოტანილი იქნეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს სსრ კანონი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა აქტი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა.

მუხლი 112. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კანონებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს სათავეში უდგას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლად არჩეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე.

მუხლი 113. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი:

1) იწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიებს;

2) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიების მომზადებას;

3) კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას;

4) ხელს უწყობს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს მათი უფლებამოსილებების განხორციელებაში და უსრულველყოფს მათ საჭირო ინფორმაციით;

5) ორგანიზაციას უწევს და ატარებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებს;

6) ორგანიზაციას უწევს სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მომზადებასა და ჩატარებას, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონების პროექტებისა და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვას;

7) საკუთარი ინიციატივით ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით წყვეტს საკითხს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თუ ცალკეულ ადგილებში სამხედრო ან საგანგებო წესების გამოცხადების საჭიროების შესახებ; წყვეტს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების საკითხებს;

8) ადგენს საქართველოს სსრ ღირსსახოვარ და ღირსშესანიშნავ დღეებს;

9) ანიჭებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს;

10) იღებს საქართველოს სსრ მოქალაქედ, წყვეტს საქართველოს სსრ მოქალაქეობიდან გასვლისა და უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

11) ახორციელებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყალებას;

12) ნიშნავს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან.

13) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

14) აქვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ენასა და ავტონომიური ოლქის მოსახლეობის ენაზე საქართველოს სსრ კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე;

15) ახორციელებს საქართველოს სსრ კანონებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

ბრძანებულება და დადგენილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმას მისცემს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ყმოვალ პირთა უმრავლესობა.

მუხლი 114. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია და წარმოადგენს საქართველოს სს რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთაგან ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით და არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება ნებისმიერ დროს ფარული კენჭისყრით გაიწვიოს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ. გაწვევის საკითხს კენჭი ეყრება, თუ ამას მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მეხუთედისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის ვადამდე განთავისუფლების შემთხვევაში უზენაესი საბჭო ერთი თვის ვადაში ირჩევს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებამდე თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე და თუ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო პირველ მოადგილესაც არ შეუძლია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება — უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობიდან არჩეული დროებითი თავმჯდომარე.

მუხლი 115. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:

1) საერთო ხელმძღვანელობს უწევს იმ საკითხების მომზადებას, რომლებიც უნდა განიხილოს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ; ხელს აწერს საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ სხვა აქტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას, აგრეთვე წინადადებებს საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

3) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის თანამდებობებზე დასანიშნავად თუ ასარჩევად;

4) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს რესპუბლიკის მდგომარეობისა და საქართველოს სსრ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ.

5) აწარმოებს მოლაპარაკებას და ხელს აწერს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებებს.

მუხლი 116. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ აწარმოონ საკანონპროექტო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ქმნის ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

მუხლი 117. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კანონებსა და სხვა გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტებს წინასწარ განიხილავენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიების შემადგენლობაში თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა ხდება, თუ არის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიების დასკვნა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა. განხილვის შედეგები და მიღებული ღონისძიებანი უნდა ეცნობოთ ადგილობრივ სიებს მათ მიერ დაწესებულ ვადაში.

მუხლი 118. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა ორგანოების ხელმძღვანელების წინაშე, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინაშე საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშე შეკითხვის წესით დაყენებულია საკითხი, მოვალეა არა უგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოცემულ სესიაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურებრივი თუ საწარმოო მოვალეობების შესრულებისაგან თავისი უფლებამოსილების მთელი პერიოდით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ სასჯელს ვერ დადებენ, თუ არ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თანხმობა, სესიებს შუა პერიოდში კი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა.

მუხლი 119. საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და 7 წევრის, მათ შორის აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეული პირნი არ შეიძლება ერთდროულად შედიოდნენ იმ ორგანოების შემადგენლობაში, რომელთა აქტები ექვემდებარება კომიტეტის ზედამხედველობას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეული პირნი თავიანთი მოვალეობების შესრულების ბოლოს დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ საქართველოს სსრ კონსტიტუციას ემორჩილებიან.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი:

1) საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დავალებით წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ განსახილველი აქტების პროექტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებები;

3) საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დავალებით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წინადადებით იძლევა დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები;

4) იძლევა დასკვნებს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების დარღვევების შესახებ.

თუ გამოვლინდა, რომ აქტი ან მისი ცალკეული დებულებები ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას ან საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი აქტის გამომცემ ორგანოს უგზავნის თავის დასკვნას დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად. ასეთი დასკვნის გამოტანა აჩერებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის თუ საქართველოს სსრ კანონის საწინააღმდეგო აქტის ან მისი ცალკეული დებულებების შესრულებას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უფლება აქვს წარდგინებით შეავიდეს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ან თანამდებობის პირთა ივ აქტების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას ან საქართველოს სსრ კანონს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ და საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ.

მუხლი 120. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმართავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობას, რომელიც სათავეში უდგას სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 121. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რეგლამენტი და საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემული საქართველოს სსრ სხვა კანონები".

10. 124-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 124. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თხოვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა თუ მისი ცალკეული წევრებისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა ან მისი ცალკეული წევრებისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თუ მისი ცალკეული წევრი გადადგება".

11. 125-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სსრ კომეტენციას განეკუთვნება, რამდენადაც ისინი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, არ შედის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციაში".

12. 127-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 127. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს და ამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე".

13. 129-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირისა [illegible] თველოს სსრ საკანონმდებლო აქტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების“.

14. მეთხუთმეტე თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო“.

15. 131-ე და 132-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 131**. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები უფლებამოსილი არიან გადაწყვეტონ ყველა საკითხი, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას განაკუთვნებენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია და ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე.

მუხლი 132. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების მიღებას და მათში ცვლილებების შეტანას, ამ ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს, სახელმწიფო ბიუჯეტებისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას, მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას ახორციელებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

16. 133-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან ამ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წინაშე“.

17. 141-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 141**. ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების მუშაობას ორგანიზაციას უწევენ მათი პრეზიდიუმები, რომლებსაც სათავეში უდგანან საბჭოების თავმჯდომარეები, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოებში — ამ საბჭოების თავმჯდომარეები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილნი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ სესიებზე ნებისმიერი საკითხი, რომლებსაც მათს გამგებლობას მიაკუთვნებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. იმ საკითხების ნუსხას, რომლებსაც წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე, ადგენენ კანონები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოების სესიებს იწვევენ მათი პრეზიდიუმები წელიწადში ოთხჯერ მაინც. სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სოფლო საბჭოების სესიებს იწვევენ მათი თავმჯდომარეები წელიწადში ოთხჯერ მაინც".

18. 145-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 145. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი ირჩევენ".

19. 164-ე, 165-ე, 167-ე და 185-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 164. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ ათი წლის ვადით. ყველა სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას ღია ქვეშისყრით, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველების წინაშე, ანგარიშს ამარებენ მათ და შეიძლება მათ მიერვე იქნენ გაწვეული კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 165. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან".

„მუხლი 167. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის უზრუნველყოფილია მათი უფლებებისა და მოვალეობების შეუფერხებელი და ეფექტიანი განხორ-

ციელების პირობები. მართლმსაჯულების აღსასრულებლად მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონით.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს აწესებს კანონი სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები".

„მუხლი 185. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შეცვლა ხდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 176—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

242 „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები თავიანთ უფლებამოსილებას ინარჩუნებენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების დეპუტატების, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებამდე, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები — შესაბამისად უზენაესი საბჭოების ახალი პრეზიდიუმების და აღმასრულებელი კომიტეტების ჩამოყალიბებამდე.

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 2. დაიგალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარების შემდეგ მოიწვიოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო და მოამზადოს მისი სხდომები, აგრეთვე განახორციელოს საქმიანობის შემთხვევაში სხვა უფლებამოსილებანი, რომლებიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ენიჭება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 113-ე მუხლით საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის რედაქციით.

მუხლი 3. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ხუთი წლის ვადა ვრცელდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებზე, მათი ახალი მოწვევიდან მოყოლებული.

მუხლი 4. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წინაშე, თავიანთ უფლებამოსილებას ინარჩუნებენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ შესაბამისი ორგანოების შექმნისა და თანამდებობის პირთა დანიშვნამდე.

მუხლი 5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87-ე და 92-ე მუხლების საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის რედაქციით მიღებული დებულებები, რომლებიც ადგენენ, რომ საქართველოს სსრ მოქალაქეს არ შეუძლია ერთდროულად იყოს დეპუტატი ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში, აგრეთვე არ უშვებენ დეპუტატებად საბჭოების მიერ დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირების არჩევას და მათ ყოფნას თანამდებობაზე ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, გამოიყენება შესაბამისად ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევის მომენტიდან და მათ მიერ თანამდებობის პირთა დანიშვნის ან არჩევის მომენტიდან.

მუხლი 6. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ სასამართლოების ახალი შემადგენლობის არჩევამდე იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლის საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის რედაქცია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 177—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

243 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საფუძვლები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: **არჩევის უფლება აქვს საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა,** ხოლო არჩეული **შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა.** წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილას ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი საბჭოს დეპუტატი.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, **რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი,** აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს: საქართველოს სსრ მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: **უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში **კენჭისყრა** ფარულია: კონტროლი ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული საზოგადოებრივი **ორგანიზაციებისა** და მოძრაობების არჩევითი ორგანოების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროსა და ამომრჩეველთა სიებს. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ რეგისტრაციაში მათი გატარების შედეგებს, **რეგისტრირებულ კანდიდატთა ბიოგრაფიულ** მონაცემებს და მათი წინასაარჩევნო პროგრამების ძირითად დებულებებს, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს **სასწავლებელთა კოლექტივების,** საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებს, დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელსაც საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე.

წარმომადგენელთა უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით ან შრომითი კოლექტივების კრებები (კონფერენციების), საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების კრებების ან არჩევითი ორგანოების სხდომების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველ-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა — ამონწერებით, ხოლო დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენლისათვის — დეპუტატობის კანდიდატის განცხადებით საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე. ოქმის ამონწერი, ისევე როგორც განცხადება, შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მუხლი 8. მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების მონაწილეობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს სსრ მოქალაქენი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები მონაწილეობენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

მუხლი 9. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, ამომრჩეველთა კრებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 10. ამომრჩეველთა განაწესები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

ამომრჩეველები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

განაწესების შეტანის, განხოგადების, განხილვისა და შესრულების ორგანიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ კანონი.

მუხლი 11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების გარდა, აგრეთვე მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები, უწყებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება ამავე დროს იყვნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

მუხლი 12. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად თანხას გაიღებს შესაბამისი საარჩევნო კომისია ერთიანი ფონდიდან, რომელიც დეპუტატობის თითოეული კანდიდატისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სახელმწიფოს, საწარმოების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა ჯგუფების ხარჯზე.

საწარმოები, დაწესებულება-ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

იმ პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან იმას, რომ საქართველოს სსრ მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, გაწზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, ეკისრებიან ... ... დადგენილი პასუხისმგებლობა. პასუხს აგებენ ავრეთვე პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გააკრცელეს ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის შესახებ.

11. არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

მუხლი 14. არჩევნების დანიშვნა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო არა უგვიანეს ოთხი თვისა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 15. საარჩევნო ოლქების შექმნა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის იქმნება 300 საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო ოლქებს ქმნის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ან მათი პრეზიდიუმების წარდგინებით.

საარჩევნო ოლქები იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ტერიტორიის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, ძირითადად ყოველ საარჩევნო ოლქზე ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის პრინციპის დაცვით.

თითოეული საარჩევნო ოლქისაგან ირჩევენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ერთ დეპუტატს.

მუხლი 16. საარჩევნო ოლქების სიები

საარჩევნო ოლქების სიებს, რომლებშიც აღნიშნულია მათი საზღვრები, ამომრჩეველთა რიცხვი და საოლქო საარჩევნო კომისიების ადგილსამყოფელი, აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ათი დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

III. საარჩევნო უბნები

მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში მათი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნების დღეს ნოსსონბაში მყოფ გემებზე — გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სსრ დაწესებულებებშიც.

მუხლი 18. საარჩევნო უბნების შექმნის წესი და ნორმა

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით. **არჩევნების დღეს ნოსსონბაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნებს** ქმნიან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები ნაწილების ან საჯარისო შენაერთების მეთაურთა წარდგინებით.

საარჩევნო უნები იქმნება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე. ძნელად მისადგომ რაიონებში, არჩევნების დღეს ნოსსონბაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლისათვის.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ამომრჩევლებს აცნობებს თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მისაცემი შენობის ადგილსამყოფელს.

IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 19. საარჩევნო კომისიების სისტემა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

მუხლი 20. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ **საარჩევნო კომისიას ქმნის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის** ასსრ უზენაესი საბჭოს, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ან მათი პრეზიდიუმების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რესპუბლიკური ორგანოების წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებათა გათვალისწინებით არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს ერთი დღისა კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილის, მდივნისა და 13 წევრის შემადგენლობით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

მუხლი 21. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგენები ამ კანონის განმარტების თაობაზე;

2) ქმნის საარჩევნო ოლქებს;

3) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციებს; განსაზღვრავს საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის წესს;

4) წყვეტს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქებისათვის იმ საარჩევნო უბნების მიწერის საკითხებს, რომლებიც საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ იქმნება;

5) უნაწილებს ფულად სახსრებს საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიათა უზრუნველყოფას შენობით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) ადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმების, სხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

7) ისმენს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8) რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს, აჯამებს მთლიანად რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩეულ დეპუტატთა სიას;

9) გადასცემს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

10) წყვეტს ხელახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

11) წყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა გაწვევამდე ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

12) ხელმძღვანელობენ დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

13) განიხილავს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებანი;

14) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს სსრ სხვა კანონების შესაბამისად.

მუხლი 22. საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 5 დღისა და არჩევნებამდე არა უგვიანეს სამთვეანი ვადისა 9-ის წევრის შემადგენლობით.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული მრეწველობის კოლექტივები, მათი საბჭოები, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები კოლეგიებზე (კონფერენციებზე), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის საწოლებში სამხედრო ძალისმახელოვანთა კოლეგიები, აგრეთვე სახოგადოებრივ ორგანიზაციათა და ძალოვანთა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა ორასი ამომრჩეველი. მრეწველობის კოლექტივების კრებები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება ორმოცი კოლექტივის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. სხდომები (კონფერენციები) უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შესაბამისი ორგანოს წევრთა ორასამკალამ ორი მესამედისა. ორმოცი კოლექტივებში კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭერა საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 50 ამომრჩეველმა.

წარმომადგენელი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან შესაბამისი არჩევითი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა.

საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 23. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას ოლქის ტერიტორიაზე;

2) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

3) ისმენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

4) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და მათ წარდგენას საყოველთაო გაცნობისათვის;

5) ხელს უწყობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების ორგანიზაციას;

6) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს, უზრუნველყოფს პლაკატების გამოცემას დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემებით;

7) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

8) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში კანდიდატთა მონაწილეობის თანასწორ პირობებს;

9) ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბანში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

10) ხელს უწყობს შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს ამომრჩეველებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების მოწყობაში როგორც შრომით კოლექტივებში, ისე ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილას;

11) ამტკიცებს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს, უზრუნველყოფს მათს დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

12) ადგენს და პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს, მოწმობას აძლევს არჩეულ დეპუტატს;

13) აწყობს ხელახალ ხმის მიცემას და ხელახალ არჩევნებს, აგრეთვე არჩევნებს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად;

14) წყვეტს დეპუტატის გაწვევის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

15) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და მოქმედების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

16) უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით საარჩევნო დოკუმენტების შენახვას;

17) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუზ. ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 24. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

საუბნო საარჩევნო კომისიებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები.

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე 5-15 წევრის შემადგენლობით. საჭიროების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები კრებებზე (კონფერენციებზე) ან მათი საბჭოები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების კრებებზე (კონფერენციებზე), მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მიძართობათა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია დასახელოს წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, თუ მას ესწრება სულ ცოტა 50 ამომრჩეველი. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებას იწვევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო საკუთარი ინიციატივით ან მოცემული საარჩევნო უბნის სულ ცოტა 20 ამომრჩევლის მოთხოვნით.

მუხლი 25. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, ღებულ და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობებს;

4) აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მისაცემ ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 26. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევენ შესაბამისი კომისიის პირველ სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კომისიის იმ წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო **კომისიას.**

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოსა და დაწესებულება-ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი კომისიის გადაწყვეტილებით არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება განთავისუფლდეს საწარმო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან შეუნარჩუნდეს საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ მიიღონ მონაწილეობა აგიტაციაში იმ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომლებიც კენჭს იყრიან მოცემულ საარჩევნო ოლქებში.

მუხლი 27. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულება-ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხები და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი შეიძლება განთავისუფლდეს კომისიაში მოგალეობის შესრულებისაგან ამ კომისიის შემქმნელი ორგანოს მიერ. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრის პირადი განცხადების ან დამსახელებელი შრომითი კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარდგენების საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და დამტკიცება ხდება კომისიის შემქმნელი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონით დადგენილი წესით.

V. ამომრჩეველთა სია

მუხლი 29. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

ამომრჩეველთა სია დგება თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია მოიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ჯარის ნაწილებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში მცხოვრებ სხვა ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ჯარის ნაწილების მეთაურების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ავრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სსრ დაწესებულებებში, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

მუხლი 30. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი. სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომრჩეველი არ შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში.

მუხლი 31. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე თხუთმეტი დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გასასჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უზუსტობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 32. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია

თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიის საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანისა და არჩევნების დღის შუა პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარმოდგენილი პასპორტისა ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფოს მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია

მუხლი 33. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება იწყება არჩევნებამდე სამი თვით ადრე და მთავრდება 45 დღით ადრე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების კრებები ან კონფერენციები, რომელთაც იწვევენ შრომითი კოლექტივების საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ან ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა; კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომით კოლექტივსა და სასწავლებლის კოლექტივს უფლება აქვთ დაასახელონ თითო დეპუტატობის კანდიდატი იმ საარჩევნო ოლქებში, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი მდებარეობენ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანები, ხოლო თუ ასეთი ორგანოები არ არის შექმნილი, — პირველადი ორგანიზაციების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კონფერენციები. დასახელებული ორგანოები ან კონფერენციები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს წევრთა ან დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა. მათ უფლება აქვთ დაასახელონ თითო დეპუტატობის კანდიდატი შესაბამისად რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე შექმნილ ყოველ საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები შესაბამის საარჩევნო კომისიებთან ერთად — საკუთარი ინიციატივით ან მოცემული საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 50 ამომრჩეველის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 200 ამომრჩეველი. კრებას უფლება აქვს დაასახელოს ერთი დეპუტატობის კანდიდატი ამ ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატების დასასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილების სარდლობა შესაბამის საარჩევნო კომისიებთან ერთად. კრებას უფლება აქვს დაასახელოს ერთი დეპუტატობის კანდიდატი იმ საარჩევნო ოლქში, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია ეს ნაწილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებებზე (სხდომებზე, კონფერენციებზე) იქმნება განუსაზღვრელი რაოდენობის კანდიდატურათა წამოყენების, მათი ფართო, თავისუფალი განხილვის პირობები. კრების (სხდომის, კონფერენციის) თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მათს განხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ. კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეს შეუძლია დეპუტატობის კანდიდატად განხილვისათვის წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრებებზე (სხდომებზე, კონფერენციებზე) ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის წესს ადგენს კრება (სხდომა, კონფერენცია).

კანდიდატ დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების (კონფერენციის) მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა. ამასთან, კრების (სხდომის, კონფერენციის) თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ დგება ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის დამსახელებელი ორგანოს დასახელება, კრების (სხდომის, კონფერენციის) ჩატარების ადგილი და დრო, კოლექტივის (ორგანოს) წევრთა რიცხვი, კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეთა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

მიღებული გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატს ეცნობება არა უგვიანეს ორი დღისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ საქართველოს სსრ მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ ან ცხოვრობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 34. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს საოლქო საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატთა დამსახელებელი შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა ორგანოების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების (სხდომების, კონფერენციების) წარდგინებით.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 45 დღით ადრე და მთავრდება 30 დღით ადრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობება, თუ არის შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ კრებების (სხდომების, კონფერენციების) ოქმები, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

ამ კანონის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი პირები დეპუტატობის კანდიდატებად მათი დასახელებისას თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, რომ აპირებენ გათავისუფლონ დაკავებული თანამდებობანი დეპუტატებად მათი არჩევის შემთხვევაში, ან აცნობებენ, რომ ხსნიან თავიანთ კანდიდატურას. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დეპუტატობის კანდიდატები დასახელებისას თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, თუ რომელი საბჭოს დეპუტატობის მოვალეობაზე იტყვიან უარს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არჩევის შემთხვევაში.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ საარჩევნო კომისია აგენს ოქმს, რომელიც დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებებთან ერთად წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილ ვადაში.

საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში იტარებს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს. რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთდროულად რეგისტრაციაში გატარდეს და კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე იმ საარჩევნო ოლქის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიებში, სადაც იგი დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული. დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიაში, ითვლება განთავისუფლებულად კომისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან იმ მომენტიდან, როცა მას რეგისტრაციაში გაატარებენ დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ არა უგვიანეს მეოთხე დღისა პრესაში აქვეყნებს ცნობას რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნავს თითოეული დეპუტატობის კანდიდატის გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადების წელს, თანამდებობას (საქმიანობას), სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს.

მუხლი 35. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

შრომით კოლექტივს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მოძრაობის ორგანოს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილში სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამსახურეთა კრებას, რომლებმაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი დასახელეს, უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისათვის გათვალისწინებული წესით და წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა და ამის შესახებ განცხადებით მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მუხლი 36. გამოკლებულთა ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში არ რჩება სხვა კანდიდატი, საოლქო საარჩევნო კომისია საჯაროდ მიმართავს კანდიდატის დასახელების უფლების მქონე ორგანიზაციებსა და ამომრჩევლებს წინადადებით — დასახელონ ახალი დეპუტატობის კანდიდატები. თუ დეპუტატობის კანდიდატები გამოაკლდებიან არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლებ დროში, შესაბამის საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნები ტარდება ორი თვის ვადაში საერთო არჩევნების შემდეგ.

გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 37. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი. ბიულეტენში ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენასა და, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობის სხვა ენაზეც.

VII. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 38. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის უფლება გამოვიდეს კრებებზე, ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღოს ინფორმაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში მათი დასახელების მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ჯარის ნაწილების მეთაურები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელს უწყობდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 39. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს საჯაროდ გამოვიდეს თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. დეპუტატობის კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით დამკვიდრებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვას.

საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს დეპუტატობის კანდიდატის პროგრამის თეზისების გამოქვეყნებას.

მუხლი 40. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირნი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს ათამდე ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც ეხმარებიან მას საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, ეწევიან აგიტაციას დეპუტატად მისი არჩევისათვის, წარმოადგენენ მის ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე საარჩევნო კომისიებში.

დეპუტატობის კანდიდატი ირჩევს ნდობით აღჭურვილ პირებს და აცნობებს მათ შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია ნდობით აღჭურვილ პირებს რეგისტრაციის შემდეგ აძლევს მოწმობებს.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება, აცნობებს რა ამის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას. ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება. ნდობით აღჭურვილი პირი დეპუტატობის კანდიდატის თხოვნით შეიძლება განთავისუფლდეს წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობისაგან. მას უნარჩუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება შედიოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შესაბამისი საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 41. წინასაარჩევნო აგიტაცია

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე უფლება — გასწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს, ნდობით აღჭურვილ პირებს საარჩევნო კომისიები უთმობენ კრებებისა და მიტინგებისათვის მოწყობილ შენობებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე და ამომრჩეველთათვის სხვა მისასარებელი ფორმით. საარჩევნო კომისია შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან ან მის პრეზიდიუმთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ერთად ხელს უწყობს ასეთი შეხვედრების გამართვას. კრებებისა და შეხვედრების მოწყობის დროსა და ადგილს დროულად აცნობებენ ამომრჩევლებს.

აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება.

მუხლი 42. წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საწარმოო თუ სამსახურებრივ მოვალეობათაგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის განთავისუფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, წინასაარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლების დროისათვის თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ამასთან, ენახება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მუხლი 43. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის უფასო მგზავრობის უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება შესაბამისი საარჩევნო ოლქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლებში. საარჩევნო ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დეპუტატობის კანდიდატი სარგებლობს ასეთივე უფლებით საარჩევნო ოლქში სამგზავროდ და საცხოვრებლ ადგილას დასაბრუნებლად.

მუხლი 44. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

VIII. ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 45. ხმის მიცემის დრო და ადგილი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობებს ამომრჩეველს არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

საავადყოფოებსა და სხვა სტაციონარულ საკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში ყოფნ გემებზე და ჯარის ნაწილებში, ძველად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 46. ხმის მიცემის მოწყობა

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობებში, რომლებშიც ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი უნდა იყოს საკმარ რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები, საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგვარად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

ამომრჩევლები, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩevლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

მუხლი 47. ხმის მიცემის ჩატარება

საარჩევნო ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარდა ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირისა და წარმომადგენლისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიმცემი ბიულეტენში ამოშლის იმ კანდიდატების გვარებს, რომელთა წინააღმდეგ აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

მუხლი 48. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს საარჩევნო უბანში ხმებს ითვლიან ცალ-ცალკე თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მიხედვით.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრებულია ხმის მიცემა. საარჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო ყუთში ხმის მისაცემი შენობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს. იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩეველებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 49. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლებიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

ცნობას საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ პრესაში აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი; არჩეული დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

IX. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესი

მუხლი 50. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიათაგან მიღებული ოქმების საფუძველზე რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩეულ დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების, ხმების დათვლის ან არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს დაირღვა ეს კანონი და უარი თქვას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის რეგისტრაციაში გატარებაზე.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

ცნობას საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულთა სიას ანბანური წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა. ამასთან, აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყოველ არჩეულ დეპუტატს აძლევს მოწმობას დეპუტატად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცების შემდეგ მათ დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოწმობით, დეპუტატს ეძლევა აგრეთვე სამკერდე ნიშანი „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი“.

X. ხელახალი ხმის მიცემა. ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები

მუხლი 53. ხელახალი ხმის მიცემა

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი არ იქნა არჩეული, საოლქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ ოლქში მოეწყოს ხელახალი ხმის მიცემა დეპუტატობის იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ამ გადაწყვეტილებას საოლქო საარჩევნო კომისია აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ოლქის ამომრჩეველებს. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო ოლქში ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცნობა ხელახალი ხმის მიცემის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

დეპუტატობის კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მიიღო უფრო მეტი ხმა, ვიდრე მეორე კანდიდატმა.

მუხლი 54. ხელახალი არჩევნები

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის არა უმეტეს ორი კანდიდატისა და არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, ანდა ხელახალმა ხმის მიცემამ ვერ განსაზღვრა არჩეული დეპუტატი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები. ამასთან, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მოაწყონ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ახალი შემადგენლობით. ხმის მიცემა ხდება იმავე საარჩევნო უბნებში და საერთო არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

ხელახალი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა საერთო არჩევნების შემდეგ. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, მათი რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობა ხელახალი არჩევნების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 55. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობა

იმ შემთხვევაში თუ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, აგრეთვე დეპუტატის გაწვევის, სხვა მიზეზების გამო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი გამოაკლდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვ-

ლამდე ერთ წელზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 178—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

244 საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების საფუძვლები

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული წარმომობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემული ადგილას ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი საბჭოს დეპუტატი.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში

მუზ. 244 ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ხმა აქვს; მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები პირდაპირია: დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებში კენჭისყრა ფარულია; კონტროლი ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროსა და ამომრჩეველთა სიებს. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ რეგისტრაციაში მათი გატარების შედეგებს, რეგისტრირებულ კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და მათი წინასაარჩევნო პროგრამების ძირითად დებულებებს, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ უბნობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებს, დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში — დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელსაც საარჩევნო ყუთის დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 41. წინასაარჩევნო აგიტაცია

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე უფლება — გასწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დასახელეს, ნდობით აღჭურვილ პირებს საარჩევნო კომისიები უთმობენ კრებებისა და მიტინგებისათვის მოწყობილ შენობებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე და ამომრჩეველთათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან ან მის პრეზიდიუმთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ერთად ხელს უწყობს ასეთი შეხვედრების გამართვას. კრებებისა და შეხვედრების მოწყობის დროსა და ადგილს დროულად აცნობებენ ამომრჩევლებს.

აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება.

მუხლი 42. წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საწარმოო თუ სამსახურებრივ მოვალეობათაგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის განთავისუფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, წინასაარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლების დროისათვის თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ამასთან, ენახება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მუხლი 43. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის უფასო მგზავრობის უფლება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება შესაბამისი საარჩევნო ოლქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლებში. საარჩევნო ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დეპუტატობისკენ-დიდატი სარგებლობს ასეთივე უფლებით საარჩევნო ოლქში სამგზავროდ და საცხოვრებლ ადგილას დასაბრუნებლად.

მუხლი 44. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

VIII. ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 45. ხმის მიცემის დრო და ადგილი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობებს ამომრჩევლებს არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ საკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ჯარის ნაწილებში, ხელად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიის შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 46. ხმის მიცემის მოწყობა

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობებში, რომლებშიც ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი უნდა იყოს საკმარ რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები, საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგვრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდ-

გენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრ-
ჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამო-
მრჩეველთა დამატებით სიას.

ამომრჩევლები, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა
სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის
საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლს ჯანმრთელობის მდგო-
მარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვ-
ლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის ცალკეულ
წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩე-
ველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთ-
დება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწი-
ლეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისა-
თვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

მუხლი 47. ხმის მიცემის ჩატარება

საარჩევნო ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბი-
ნაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარ-
და ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად
შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს
თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, დეპუტატო-
ბის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირისა და წარმომადგენლისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის
მიმცემი ბიულეტენში ამოშლის იმ კანდიდატების გვარებს, რომელთა წი-
ნააღმდეგ აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

მუხლი 48. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს საარ-
ჩევნო უბანში ხმებს ითვლიან ცალ-ცალკე თითოეული დეპუტატობის კანდი-
დატის მიხედვით.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც
კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრებულია ხმის მიცემა. სა-
არჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევ-
ნო ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენს ითვლის
და აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიუ-
ლეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო ყუთში ხმის მისაცემი შე-
ნობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიე-
ბის მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო უყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს. იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩეველებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ძას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 49. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლებიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

ცნობას საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ პრესაში აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი; არჩეული დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

IX. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესი

მუხლი 50. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიათაგან მიღებული ოქმების საფუძველზე რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩეულ დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების, ხმების დათვლის ან არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს დაირღვა ეს კანონი და უარი თქვას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის რეგისტრაციაში გატარებაზე.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკაში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულთა სიას ანბანური წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა. ამასთან, აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყოველ არჩეულ დეპუტატს აძლევს მოწმობას დეპუტატად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცების შემდეგ მათ დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოწმობით, დეპუტატს ეძლევა აგრეთვე სამკერდე ნიშანი „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი“.

X. ხელახალი ხმის მიცემა. ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები

მუხლი 53. ხელახალი ხმის მიცემა

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი არ იქნა არჩეული, საოლქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ მოეწყოს ხელახალი ხმის მიცემა დეპუტატობის ამ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ამ გადაწყვეტილებას საოლქო საარჩევნო კომისია აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ოლქის ამომრჩეველებს. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო ოლქში ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცნობა ხელახალი ხმის მიცემის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

დეპუტატობის კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მიიღო უფრო მეტი ხმა, ვიდრე მეორე კანდიდატმა.

მუხლი 54. ხელახალი არჩევნები

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის არა უმეტეს ორი კანდიდატისა და არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, ანდა ხელახალმა ხმის მიცემამ ვერ განსაზღვრა არჩეული დეპუტატი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები. ამასთან, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მოაწყონ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ახალი შემადგენლობით. ხმის მიცემა ხდება იმავე საარჩევნო უბნებში და საერთო არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

ხელახალი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა საერთო არჩევნების შემდეგ. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, მათი რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობა ხელახალი არჩევნების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 55. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობა

იმ შემთხვევაში თუ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, აგრეთვე დეპუტატის გაწვევის, სხვა მიზეზების გამო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი გამოაკლდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამდე ერთ წელზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 178—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

244 საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების საფუძვლები

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილს ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი საბჭოს დეპუტატი.

არჩევნებში არ მონაწილეობეს ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ხმა აქვს; მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები პირდაპირია: დეპუტატებს ამომრჩეველები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებში კენჭისყრა ფარულია; კონტროლი ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროსა და ამომრჩეველთა სიებს. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ რეგისტრაციაში მათი გატარების შედეგებს, რეგისტრირებულ კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და მათი წინასაარჩევნო პროგრამების ძირითად დებულებებს, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებს, დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში — დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელსაც საარჩევნო ყუთის დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

მუხლი 14. არჩევნების დანიშვნა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ტარდება ერთდროულად და მას ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო არა უგვიანეს ოთხი თვისა დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 15. საარჩევნო ოლქების შექმნა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის არჩევნებისათვის იქმნება საარჩევნო ოლქები:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოში — 140-მდე საარჩევნო ოლქი.

სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში — 45-დან 75 ოლქამდე;

რესპუბლიკური, საოლქო დაქვემდებარების ქალაქების სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში — 50-დან 300 ოლქამდე;

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში — 25-დან 35 ოლქამდე;

სახალხო დეპუტატთა ქალაქის რაიონულ საბჭოში — 75-დან 100 ოლქამდე;

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოში — 15-დან 40 ოლქამდე.

ამ მუხლით დადგენილ ნორმათა ფარგლებში, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების პრეზიდიუმების წინადადებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, თითოეული რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქის), ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისას — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საარჩევნო ოლქებს ქმნიან სათანადო საარჩევნო კომისიები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ტერიტორიის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, ძირითადად ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის პრინციპის დაცვით.

გამონაკლისის სახით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის ნებართვით, შეიძლება შეიქმნას ამ მუხლით გათვალისწინებულზე მეტი ან ნაკლები საარჩევნო ოლქები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო ოლქების სიებს, რომლებშიც აღნიშნულია მათი საზღვრები, ადგენენ ამომრჩეველთა რიცხვი, აქვეყნებენ შესაბამისი საარჩევნო კომისიები არა უადრეს თხუთმეტი დღისა არჩევნების დანიშვნიდან და არა უგვიანეს სამთვენახევრისა არჩევნებამდე.

III. საარჩევნო უბნები

მუხლი 16. საარჩევნო უბნების შექმნა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად **რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები** იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში მათი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე — გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნის წესი და ნორმა

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები სათანადო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით. **არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ** გემებზე **საარჩევნო უბნებს ქმნიან შესაბამისი სახალხო** დეპუტატთა **საბჭოები ან** მათი **პრეზიდიუმები** გემის **მიწერის** ნავსადგურის ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან **სახალხო** დეპუტატთა ადგილობრივი **საბჭოები ან** მათი **პრეზიდიუმები ნაწილების ან** საჯარისო **შენაერთების** მეთაურთა **წარდგენებით.**

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე. ძნელად მისადგომ რაიონებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლისათვის.

შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ამომრჩევლებს აცნობებს **თითოეული** საარჩევნო **უბნის** საზღვრებს, **საუბნო** საარჩევნო **კომისიისა** და ხმის **მისაცემი** შენობის ადგილსამყოფელს.

IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 18. საარჩევნო კომისიების სისტემა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

მუხლი 19. საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების შექმნა

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონულ. საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს ქმნიან და მათ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვთ სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებს ან მათ პრეზიდიუმებს. კომისიები იქმნება 7-21 წევრის შემადგენლობით არაუადრეს ათი დღისა არჩევნების დანიშვნიდან და არა უგვიანეს 110 დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები კრებებზე (კონფერენციებზე) ან მათი საბჭოები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები კრებებზე (კონფერენციებზე), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, ხოლო, თუ ასეთი ორგანოები არ შექმნილა, მაშინ — პირველადი ორგანიზაციების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონულ კონფერენციები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა 50 ამომრჩეველი. შრომითი კოლექტივების კრებები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შრომითი კოლექტივების წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი. სხდომები (კონფერენციები) უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შესაბამისი ორგანოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომით კოლექტივებში კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. წარმომადგენელი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან შესაბამისი არჩევითი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა შესაბამისი საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 20 ამომრჩეველმა.

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 20. საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე; საჩიოების შემოხვევაში საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებანი ამ კანონის განმარტების თაობაზე;

2) ქმნის საარჩევნო ოლქებს;

3) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

4) უნაწილებს ფულად სახსრებს საუბნო საარჩევნო კომისიებს;

5) კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) ამტკიცებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ დამზადებას;

7) ისმენს საარჩევნო კომისიების, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატებს და აქვეყნებს ცნობას შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობის შესახებ;

9) იღებს საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან ოქმებს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგების შესახებ;

10) რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს არჩეულ დეპუტატებს, აჯამებს მთლიანად ოლქში, რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში, დაბაში, სოფელში არჩევნების შედეგებს, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ სახალხო დეპუტატთა სიას;

11) გადასცემს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

12) აწყობს ხელახალი ხმის მიცემისა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას, დეპუტატის გაწვევას;

13) ნიშნავს გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

14) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ [illegible]ლი წესით საარჩევნო დოკუმენტების შენახვას;

15) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების შესახებ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს მათ გამო;

16) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 21. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

საუბნო საარჩევნო კომისიებს ქმნის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა 5-15 წევრის შემადგენლობით. საჭიროების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები კრებებზე (კონფერენციებზე), ან მათი საბჭოები, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლთა კოლექტივები კრებებზე (კონფერენციებზე), მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები.

დიდ შრომით კოლექტივებში (საერთო რაოდენობა — სულ ცოტა 500 კაცი) საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში წარმომადგენელთა დასასახელებლად კრებები შეიძლება გაიმართოს საამქროებში, უბნებზე, ცალებში, ბრიგადებსა და სხვა ქვედანაყოფებში, რომლებიც სულ ცოტა 50 კაცს ითვლიან.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა 50 ამომრჩეველი. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებას იწვევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო საკუთარი ინიციატივით ან მოცემული საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 20 ამომრჩევლის მოთხოვნით.

მუხლი 22. საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს; მოქალაქეებს აცნობს ამომრჩეველთა სიას; იღებს და განიხილავს განცხადებებს სიაში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მასში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

2) ადგენს დამატებით სიას ამომრჩეველთა განცხადებების საფუძველზე;

3) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

4) აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელსა და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობისა და კაბინების მომზადებას;
აგრეთვე საარჩევნო ყუთების დამზადებას;
6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;
7) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;
8) ადგენს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით;
9) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;
10) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 23. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევენ შესაბამისი კომისიის პირველ სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კომისიის იმ წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის წევრი, თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მდივნის ჩათვლით, კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება განთავისუფდეს საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან, შეუნარჩუნდეს საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ მიიღონ მონაწილეობა აგიტაციაში იმ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომლებიც კენჭს იყრიან შესაბამის საარჩევნო ოლქებში.

მუხლი 24. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულება-ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხი და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

მუხლი 25. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი შეიძლება განთავისუფლდეს კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან ამ კომისიის შემქმნელი ორგანოს მიერ. ეს გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრის პირადი განცხადების ან დამსახელებელი შრომითი კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ მოძრაობის, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარდგინების საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და დამტკიცება ხდება კომისიის შემქმნელი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონით დადგენილი წესით.

V. ამომრჩეველთა სია

მუხლი 26. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

ამომრჩეველთა სიას საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია მოიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ჯარის ნაწილებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში მცხოვრებ სხვა ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ჯარის ნაწილების მეთაურების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები სიაში შეიქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 27. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი, სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი არ შეიძლება შეაყვანილ იქნეს სხვა საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში.

მუხლი 28. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრ-ჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე თხუთმეტი დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — **არჩევნებამდე ორი დღით ადრე.**

მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრ-ჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩიროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უსწორობის შესახებ განცხადებას განიხილავს **საუბნო საარჩევნო** კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს, — დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

VI. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია

მუხლი 29. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბ-ჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება იწყება არჩევნებამდე სამი თვით ადრე და მთავრდება არჩევნებამდე 45 დღით ადრე.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების ან მათი ქვედანაყოფების კრებები (კონფერენციები), რომელთაც იწვევენ შრომითი კოლექტივების საბ-ჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ან ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატ-

ვით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა; კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომით კოლექტივსა და სასწავლებლის კოლექტივს უფლება აქვთ დაასახელონ თითო დეპუტატის კანდიდატი იმ ოლქებში, რომელთა ტერიტორიაზედაც იგი მდებარეობს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ შესაბამისად მათი საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანოები, ხოლო თუ ასეთი ორგანოები არ არის შექმნილი, მაშინ — პირველადი ორგანიზაციების საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენციები, ხოლო სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათი პირველადი ორგანიზაციები. მათ უფლება აქვთ დაასახელონ თითო დეპუტატობის კანდიდატი შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე შექმნილ ყოველ საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები შესაბამის საარჩევნო კომისიებთან ერთად ან — საკუთარი ინიციატივით ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ინიციატივით, ანდა მოცემული საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 20 ამომრჩევლის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის სარდლობა შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ერთად.

სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ აგრეთვე მოქალაქეთა კრებებზე, ყრილობებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე მომუშავე ან მცხოვრებ საქართველოს სსრ მოქალაქეებს. დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთდროულად რეგისტრაციაში გატარდეს და კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

კრებებზე (სხდომებზე, კონფერენციებზე) იქმნება განუსაზღვრელი რაოდენობის კანდიდატურათა წამოყენების, მათი ფართო, თავისუფალი განხილვის პირობები. კრების (სხდომის, კონფერენციის) თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ. კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეს შეუძლია დეპუტატობის კანდიდატად განხილვისათვის წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატად დასახელების **შესახებ** გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე (სხდომაზე, კონფერენციაზე) ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის წესს ადგენს კრება (სხდომა, კონფერენცია).

კანდიდატი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან შესაბამისი არჩევითი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა, ამასთან კრების (სხდომის, კონფერენციის) თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

დეპუტატობის კანდიდატად დასახელების **შესახებ** დგება ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის დამსახელებელი ორგანოს დასახელება, კრების (სხდომის, კონფერენციის) ჩატარების ადგილი და დრო, კოლექტივის (ორგანოს) წევრთა რიცხვი, კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეთა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

მიღებული გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატს ეცნობება არა უგვიანეს ორი დღისა.

მუხლი 30. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებენ **შესაბამისი** საოლქო, **რაიონული, საქალაქო, ქალაქის** რაიონული, **სადაბო** და **სا**სოფლო **საარჩევნო** კომისიები.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 45 დღით ადრე და მთავრდება 30 დღით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ კრებების (კონფერენციების, სხდომების) ოქმები, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

ამ კანონის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი პირები დეპუტატობის კანდიდატებად **მათი** დასახელების **დროს** თავიანთ **განცხადებებში** აღნიშნავენ, **რომ** აპირებენ **გაანთავისუფლონ** დაკავებული **თანამდებობანი** დეპუტატებად **მათი** არჩევის **შემთხვევაში**, ან აცნობებენ, **რომ** ხსნიან **თავიანთ** კანდიდატურებს. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის **შესაბამისად** დეპუტატობის **კანდიდატები** დასახელებისას **თავიანთ** განცხადებებში **აღნიშნავენ**, **თუ** რომელი **საბჭოს** დეპუტატის **მოვალეობაზე** იტყვიან **უარს** დეპუტატებად **არჩევის** შემთხვევაში.

დეპუტატობის კანდიდატთა **რეგისტრაციის** შესახებ **დგება** ოქმი.

ამ **კანონის** მოთხოვნათა **დაცვით** **დასახელებული** ყველა **დეპუტატობის** **კანდიდატი** **უნდა** **იქნეს** **გატარებული** **რეგისტრაციაში**; **დეპუტატობის** **კანდიდატის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოში ან მის პრეზიდიუმში.

დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს შესაბამის საოლქო, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე იმ საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელშიც დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული. დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიაში, ითვლება განთავისუფლებულად კომისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან იმ მომენტიდან, როცა მას რეგისტრაციაში გაატარებენ დეპუტატობის კანდიდატად.

საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ არა უგვიანეს მეოთხე დღისა პრესაში აქვეყნებს ცნობას რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნავს რეგისტრირებული კანდიდატების გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადების წელს, თანამდებობას (საქმიანობას), სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს.

ადგილობრივი საბჭოს თითოეულ რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატს ეძლევა მოწმობა.

მუხლი 31. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მოძრაობის ორგანოებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს, რომლებმაც ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი დასახელეს, უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გაუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისათვის გათვალისწინებული წესით და წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა და ამის შესახებ განცხადებით მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მუხლი 32. გამოკლებულთა ნაცვლად ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების ვადის გასვლის შემდეგ დეპუტატობის კანდიდატთა გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში არ რჩება სხვა კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისია საჯაროდ მიმართავს კანდიდატის დასახელების უფლების მქონე ორგანიზაციებსა და ამომრჩეველს წინადადებით — დაასახელონ ახალი დეპუტატობის კანდიდატები. თუ დეპუტატობის კანდიდატები გამოაკლდებიან არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროში, შესაბამის საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნები ტარდება ორი თვის ვადაში საერთო არჩევნების შემდეგ.

გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 33. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვთ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი. ბიულეტენში ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენასა და საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობის სხვა ენაზეც.

VII. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 34. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატის უფლება გამოვიდეს კრებებზე, ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღოს ინფორმაცია

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში მათი დასახელების მომენტიდან.

დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კრებებზე, მიტინგებზე, თათბირებზე, სხდომებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელს უწყობდნენ დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩეველებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 35. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს საჯაროდ გამოვიდეს თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. დეპუტატობის კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით დამკვიდრებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვას.

მუხლი 36. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს ხუთამდე ნდობით აღჭურვილი პირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ეხმარებიან მას საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, ეწევიან აგიტაციას დეპუტატად მისი არჩევისათვის, წარმოადგენენ მის ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე საარჩევნო კომისიებში. დეპუტატობის კანდიდატი არჩევს ნდობით აღჭურვილ პირებს და აცნობებს მათ შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისია ნდობით აღჭურვილ პირებს რეგისტრაციის შემდეგ აძლევს მოწმობებს.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება, აცნობებს რა ამის შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება. ნდობით აღჭურვილი პირი დეპუტატობის კანდიდატის თხოვნით შეიძლება განთავისუფლდეს წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობისაგან. მას უნარჩუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება შედიოდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 37. წინასაარჩევნო აგიტაცია

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე უფლება — გასწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს, ნდობით აღჭურვილ პირებს საარჩევნო კომისიები უთმობენ კრებებისა და მიტინგებისათვის მოწყობილ შენობებს.

დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე ან ამომრჩეველთათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან ან მის პრეზიდიუმთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ერთად ხელს უწყობს ასეთი შეხვედრების გამართვას.

კრებებისა და შეხვედრების მოწყობის დროსა და ადგილს დროულად აცნობებენ ამომრჩევლებს.

აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 38. წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის განთავისუფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, წინასაარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლების დროისათვის თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ამასთან, ენახება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მუხლი 39. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის უფასო მგზავრობის უფლება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 40. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა შესაბამისი საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადგამო, სასოფლო საარჩევნო კომისიის თანხმობა.

VIII. ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 41. ხმის მიცემის დრო და ადგილი

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობებს ამომრჩევლებს არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ჯარის ნაწილებში, ძნელად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 42. ხმის მიცემის მოწყობა

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობებში, რომლებშიც ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი უნდა იყოს საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილი და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს ან ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგიერად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდგენისას, საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

ამომრჩევლები, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩეველს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით აავლებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინების სიღდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობის მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 43. ხმის მიცემის ჩატარება

საარჩევნო ბიულეტენებს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარდა ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენები, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში თავისი შეხედულებისამებრ მიიწვიოს სხვა პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირისა და წარმომადგენლისა.

ადგილობრივი საპჭოების დეპუტატთა არჩევნების დროს ამომრჩეველი ბიულეტენში ამოშლის იმ კანდიდატების გვარებს, რომელთა წინააღმდეგ აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენებს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

მუხლი 44. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საარჩევნო უბანში ხმებს ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია ცალ-ცალკე თითოეული საარჩევნო ოლქისა და თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო უყთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ ხმის მიცემა დამთავრებულია. საარჩევნო უყთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო უყთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო უყთში ხმის მისაცემი შენობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო უყთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის ზხარჟასაპერად და წინაადმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას. იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩევლებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიშუნის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საარჩევნო კომისიას საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

არჩეულად ითვლებიან დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც საარჩევნო ოლქში არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

მუხლი 45. არჩევნების ბათილად ან არჩატარებულად ცნობა

შესაბამის საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები საარჩევნო ოლქში არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამ ოლქის ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

მუხლი 46. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგების შესახებ ოქმების საფუძველზე აჯამებენ სათანადო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შედეგებს და რეგისტრაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარებენ თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატებს.

საარჩევნო კომისიას შეუძლია უარი თქვას დეპუტატის რეგისტრაციაზე და ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების დროს ხმების დათვლისას ანდა ოლქში არჩევნების შედეგების განსაზღვრისას დაირღვა ეს კანონი.

მუხლი 47. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ აქვეყნებს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს მეხუთე დღისა არჩევნების შემდეგ.

ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რაოდენობა, ხმის მიმცემ ამომრჩეველთა რაოდენობა, თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი, ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რიცხვი, იმ ოლქების რაოდენობა, რომლებშიც ხელახლა მოეწყობა არჩევნები ან ხმის მიცემა.

ადგილობრივ საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია ქვეყნდება ანბანური წესით, ამასთან აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

IX. ხელახალი ხმის მიცემა. ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები. არჩევნები ახლად შექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში

მუხლი 48. ხელახალი ხმის მიცემა

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი არ იქნა არჩეული, შესაბამისი საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ ოლქში მოეწყოს ხელახალი ხმის მიცემა, იმ ორი დეპუტატობის კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა.

ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცნობა ხელახალი ხმის მიცემის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

დეპუტატობის კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მიიღო მეტი ხმა, ვიდრე სხვა კანდიდატმა.

მუხლი 49. ხელახალი არჩევნები

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის არა უმეტეს ორი კანდიდატისა და არც ერთი არ იქნა არჩეული, ან ხელახალმა ხმის მიცემამ ვერ გამოავლინა არჩეული დეპუტატი, აგრეთვე, თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ოლქში მოაწყოს ხელახალი არჩევნები. ამასთან მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მოაწყონ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ახალი შემადგენლობით.

მეცნ. ბიბლიოთეკა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელახალი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა საარჩევნო ბრძანების გამოქვეყნებიდან. ხმის მიცემა ხდება იმავე საარჩევნო უბნებში და საერთო არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით. საარჩევნო კომისიების შექმნა, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, რეგისტრაცია თუ სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით.

ცნობა ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 50. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების მოწყობა

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო მათილად ცნობს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილებას, აგრეთვე დეპუტატის გაწვევის, სხვა მიზეზების გამო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ხელახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი გამოაკლდა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე ექვს თვეზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა.

მუხლი 51. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების მოწყობა ახლად შექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნები ახლად შექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ეწყობა იმ შემთხვევებში, როცა ადგილობრივი საბჭოს შექმნა შეუძლებელია იმის გამო, რომ ახალშექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბის, სოფლის შემადგენლობაში შესული ტერიტორიაზე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს დეპუტატები არ არჩეულან ან მათი რიცხვი არასაკმარისია.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭო არა უგვიანეს ორი თვის ვადისა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის დღიდან და იგი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით.

ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს ადგილობრივი დროით 20 საათზე **ადრეც, თუ ხმა მისცა ამომრჩეველთა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

X. დეპუტატის მოწმობა. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო შენახვის წესი. საარჩევნო ყუთის ნიმუში

მუხლი 52. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

შესაბამისი საარჩევნო კომისია რეგისტრირებულ დეპუტატთა სიების გამოქვეყნების შემდეგ თითოეულ არჩეულ დეპუტატს აძლევს მოწმობას მისი არჩევის შესახებ.

დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცებების შემდეგ მათ დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან დეპუტატის მოწმობით. დეპუტატს ეძლევა აგრეთვე შესაბამისი სამკერდე ნიშანი.

მუხლი 53. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში

ამომრჩეველთა სიის. საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენების ფორმასა და ფერს, დეპუტატობის კანდიდატის, ნდობით აღჭურვილი პირის, დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობის, დეპუტატის მოწმობის ფორმებს, დეპუტატის სამკერდე ნიშნის ნიმუშს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს ადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 54. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი და ვადები

საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოება მათი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადაეცემა შესაბამის სოლქო, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადამო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს.

საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესსა და ვადებს ადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 179—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

245 საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31-ე მუხლის ახალი რედაქციის პროექტი, აგრეთვე გადამუშავების შემდეგ საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ კანონის პროექტი.

3 .საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილვის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31-ე მუხლის ახალი რედაქციის პროექტი და საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ კანონის პროექტი წარუდგინოს მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 180—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

246 რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლის და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის საკითხთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლის და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის საკითხთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის ინფორმაცია.

2. საქართველოს სსრ კანონის პროექტი იმიგრაციის შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში სახალხო განხილვისათვის. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილვის შედეგების გათვალისწინებით შეიტანოს კანონის პროექტში საჭირო ცვლილებები და წარუდგინოს იგი მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 181—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

იმიგრაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცირემიწიანობა და მწარმოებლური ძალების განვითარების თანამედროვე მდგომარეობა მკვეთრად ამცირებს ტერიტორიის ტევადობას, რაც მოითხოვს რესპუბლიკაში მოსახლეობის გარეგან შემოსვლის შეზღუდვას. ვინაიდან, როგორც წესი, მიგრაცია იწვევს ადგილობრივი შრომითი რესურსების დესტაბილიზაციას, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობის (თვითდაფინანსება, თვითანაზღაურება და სხვ.) დამკვიდრების კვალობაზე შრომის თავისუფალი ბაზრის წარმოქმნა კიდევ უფრო გაართულებს მკვიდრი მოსახლეობის დასაქმების ისედაც მწვავე პრობლემას, აუცილებელია იმიგრაციული პროცესების მართვის მექანიზმის არსებითი სრულყოფა.

საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის გარეგან შემოსვლისა და დასახლების რეგლამენტაციის მიზნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამუშაოდ კადრების მოწვევა რესპუბლიკის გარეგან მოხდეს მხოლოდ გამონაკლისის წესით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 2. სხვა რესპუბლიკებიდან კადრების სამუშაოდ მოწვევის აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ ყველა საწარმო, ორგანიზაცია თუ დაწესებულება (კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩათვლით), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ვალდებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა ან ქალაქის საბჭოების აღმასკომების არასაბიუჯეტო ანგარიშზე შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი სათანადო თანხა რესპუბლიკის ფარგლებს გარეგან სამუშაოდ მოწვეულ თითოეულ მუშაზე და მასთან ერთად ჩამოსახლების მსურველ მისი ოჯახის თითოეულ წევრზე.

მუხლი 3. არსებული კანონის მე-2 მუხლი არ გრცელდება:

1) იმ პირებზე, რომლებიც სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ნებართვით მიღებულნი არიან სეზონურ და დროებით სამუშაოზე;

2) ახალგაზრდა სპეციალისტებზე რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებთა რიცხვიდან, რომელთაც უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლება მიიღეს საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ;

3) იმ პირებზე, რომლებიც არჩეული ან დანიშნული არიან საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ;

4) რესპუბლიკაში მის ფარგლებს გარეგან ჩამოსული საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) იმ პირებზე, რომელთაც გაცვალეს საცხოვრებელი ფართობი;

6) იმ პირებზე, რომლებიც ჩაძოდიან საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ თავის ოჯახთან შესაერთებლად.

მუხლი 4. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაბრუნების უპირატესი უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამხედრო ძალების სამსახურიდან დათხოვნილ ან თადარიგში გასულ ზეკადიან სამხედრო მოსამსახურეებს და ოფიცრებს, რომლებიც სამსახურში გაწყვეულ იქნენ საქართველოს სსრ ტერიტორიიდან.

მუხლი 5. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ბინების პირად საკუთრებაში შესყიდვის უფლება მიეცეთ მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეებს.

მუხლი 6. საქართველოს სს რესპუბლიკაში იმიგრაციულ პროცესებზე მეთვალყურეობა და ზედამხედველობა დაეკალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს იმიგრაციის საკითხთა კომისიას.

მუხლი 7. ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

247 საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების საკითხზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების საკითხზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია.

2. დაეკალოს სამუშაო ჯგუფს შეიმუშაოს წინადადებანი და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ ახალი მოწვევის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.

№ 182—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

248 **ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წევრკანდიდატთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსდის საკითხებზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ძალებულ იქნეს ცნობად ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წევრკანდიდატთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსდის საკითხებზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე საკანონმდებლო ინიციატივის წესით აღიძრას საკითხი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ქართულ ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენის შესახებ.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე:

— ორი შენაერთის სახით (მოტომსროლელთა და სამთომსროლელთა დივიზიები) ქართული საჯარისო ფორმირებების აღდგენის შესახებ, რომელთა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და აღჭურვის ტექნიკურ მხარეს რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და განსაზღვრავს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო;

— საბჭოთა არმიის ოფიცერთა ქართული ეროვნული კადრების მოსამზადებლად თბილისში მრავალპროფილიანი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის გახსნის თაობაზე (ყოფილი თბილისის სამხედრო სასწავლებლის ბაზაზე);

— საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები წევრკანდიდატების ძირითადი ნაწილის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის (სურვილისამებრ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდის შესახებ.

4. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ამერკაკასიის საზღვრო ოლქის ჯარებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დისლოცირებული შინაგანი ჯარების ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდობით დაკომპლექტების თაობაზე.

5. დაისვას საკითხი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილი რთული დემოგრაფიული და სოციალური ვითარების გამო „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ცვლილებები:

სამხედრო სავალდებულო გაწვევას არ ექვემდებარებიან საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომელთაც:

ა) ჰყავთ ოჯახი და ერთი შვილი;

ბ) ჰყავთ მხოლოდ დედა ან მამა;

რომელნიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ფლობენ რესპუბლიკისათვის დეფიციტურ პროფესიებს (ამ პროფესიების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო);

დ) არიან დედისერთა ვაჟები.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას სათანადო შესწორებებით და რეალური ვითარების გათვალისწინებით აღდგენილ იქნეს მუხლები ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა შესახებ, რომლებიც მოქმედებდა 1922 წლისა და 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციებში.

7. შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის კომისია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 183—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

249 საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დანიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კვირას, 1990 წლის 25 მარტს.

2. დადგინდეს ამომრჩეველთა ნორმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქზე 11560 ამომრჩეველს გაანგარიშებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 184—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

250 საქართველოს სსრ ოცდამეერთე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასცლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოცდამეერთე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები კვირას, 1990 წლის 17 ივნისს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 185—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

251 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

1990 წლის გეგმის რეალიზაცია მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა იქცეს „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების შესრულების საქმეში და მოწოდებულია შეაჩეროს ნეგატიური ტენდენციების ზრდა სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკ-ს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამუშავებული საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებათა გათვალისწინებით.

2. განისაზღვროს 1990 წლისთვის შემდეგი უმნიშვნელოვანესი მიზნები და პრიორიტეტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის, ფულადი მიმოქცევის მოწესრიგებისა და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელება;

სურსათის, სამრეწველო დანიშნულების სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის და მომსახურების სფეროს გაფართოების საფუძველზე საომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესება;

სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და უწინარეს ყოვლისა საბინაო მშენებლობის არსებითად გაფართოება;

შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეთა, განსაკუთრებით პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის გაძლიერება;

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება; საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მრეწველობის საბაზო დარგების განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერება;

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, პირველ რიგში, ყველა სახალხო-სამეურნეო რესურსის ყოველმხრივი ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების საფუძველზე;

რესპუბლიკაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებების გატარება.

უზრუნველყოფილ იქნეს 1990 წელს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიღწევა.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი, პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	102,7
წარმოებული ეროვნული შემოსავალი, პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	103,0
გამოყენებული ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა პროცენტებში:	
რესურსები მიმდინარე მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის	87,0
რესურსები გაფართოებული კაპიტალურმონტაჟისა და სხვა მიზნებისათვის	13,0
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	103,2
წარმოების საშუალებათა წარმოება მრეწველობაში („ა“ ჯგუფი), პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	100,5
მოხმარების საგნების წარმოება მრეწველობაში („ბ“ ჯგუფი), პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	106,7
რეალური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან	102,8

3. მოწონებულ იქნეს რესპუბლიკის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ხარჯების 1990 წლის ბალანსი.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაღწიონ გეგმის შესრულების პროცესში ფინანსური რესურსების დეფიციტის შემცირებას, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ხარჯების დაბალანსების გაუმჯობესებას;

მიიღონ 7440 მლნ მანეთის მოცულობის საცალო საქონელბრუნვის სათანადო სასაქონლო რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს 1990 წელს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევა შემდეგი მოცულობებით:

	მლნ მანეთი	პროცენტებით 1989 წლის მიმართ
სახალხო მოხმარების საქონელი, საცალო ფასებში — სულ	7300	106,9
მათ შორის:		
სასურსათო საქონელი	3053	102,4
არასასურსათო საქონელი	4247	110,4
მათ შორის მსუბუქი მრეწველობის საქონელი	2300	104,8
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება (სახელმწიფო შეკვეთა)	1090	103,0

დაწესდეს რესპუბლიკურ ფონდში სურსათის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, არასასურსათო დანიშნულების სახალხო მოხმარების საქონლის, მსუბუქი მრეწველობის საქონლის და სამკურნალოპლო საშუალებების მიწოდების სახელმწიფო შეკვეთები.

4. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება დადგენილი წესით.

5. სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მეურნეობის მიხედვით დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლუატაციოდ გადაცემა:

საცხოვრებელი სახლების — 1803,6 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობით;

სკოლამდელი დაწესებულებების — 9,25 ათასი ადგილით;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების — 33,02 ათასი ადგილით;

სკოლა-ინტერნატების ობოლი ბავშვებისათვის და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისათვის, საბავშვო სახლების — 0,6 ათასი ადგილით;

მეუ. ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბების და კულტურის სახლების — 12,8 ათასი ადგილით;

საავადმყოფოების — 1,2 ათასი საწოლით;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1990-1991 წლებში გამოყოს ამოქმედებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის 5 პროცენტამდე მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მათ შორის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სახსრების ხარჯზე (აგროსამრეწველო კომპლექსის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის ბიხაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სარკინიგზო ჯარების, ინვალიდების საზოგადოებების საცხოვრებელი სახლების გარდა) იმ ოდენობაზე ზევით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 სექტემბრის № 734 დადგენილების 1 პუნქტით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით თადარიგში გასული, ანდა სამსახურიდან დათხოვნილი პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის.

6. მოწონებულ იქნეს კაპიტალდაბანდებათა კრებსითი ბალანსი 1990 წლისათვის, რომელიც ითვალისწინებს მათ საერთო მოცულობას დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 3046 მლნ მანეთის, მათ შორის საწარმოო სფეროში 1830 მლნ მანეთის და არასაწარმოო სფეროში 1216 მლნ მანეთის ოდენობით.

დამტკიცდეს სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების ლიმიტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მეურნეობის მიხედვით საწარმოო სფეროში 326 მლნ მანეთის და არასაწარმოო სფეროში 632 მლნ მანეთის ოდენობით.

მიეცეს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიყენონ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის, სამრეწველო საწარმოებისათვის და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საწარმოო მშენებლობაზე გამოყოფილი სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების და მათთან დაკავშირებული მატერიალური რესურსების და საიჯარო სამუშაოების ლიმიტების 10 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ცენტრალიზებული სახსრების რაციონალური გამოყენება, მათი წარმართვა მხოლოდ იმ მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომელთა განხორციელება განპირობებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სიმიდრო ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობით. საწარმოო სიმძლავრეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ამოქმედების დაჩქარების მიზნით, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო კვეთის ობიექტებზე, მიღებულ იქნეს მშენებლობის ფრონტის შემცირების კაპიტალდაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა კონცენტრაციის ღონისძიებანი იმ ობიექტების მშენებლობის დამთავრებაზე, რომელთა ამოქმედება გათვალისწინებულია 1990 წელს.

დაწესდეს სახელმწიფო შეკვეთა საშენი მასალების მიწოდებაზე საერთო-რესპუბლიკური საჭიროებისათვის.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1990 წელს უზრუნველყონ გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარემოს მომატებული დაბინძურების მქონე რაიონებსა და ქალაქებში.

დაწესდეს სახელმწიფო შეკვეთა უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების ბუნებადაცვითი ობიექტების ამოქმედებაზე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გეგმის შესრულების მიმდინარეობისას მიიღოს ზომები საგარეო ეკონომიკური კავშირების გარდაქმნის, უწინარეს ყოვლისა, დამმუშავებელი დარგების მთელი პროდუქციის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის პროდუქციის საექსპორტო მიწოდების გაზრდისა და სტრუქტურის სრულყოფის, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების, იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით.

9. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ყურადღებას მიაპყრობს წარმოების თითოეულ უბანსა და მართვის ყველა დონეზე სახელმეკონულებო, შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, უყაირათობასა და დანაკარგებთან გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობაზე და ავადღებულებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მართვისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებს ამ მიზნით ფართოდ გაშალონ საჭირო ორგანიზატორული მუშაობა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სათანადო წესით შეტყობინებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებიდან და ამ დადგენილებიდან გამომდინარე დაამტკიცოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები დარგებისა და რეგიონების მიხედვით და დადგენილი წესით დაიყვანოს ისინი რესპუბლიკის სამინისტროებამდე, უწყებებამდე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებამდე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ სამინისტროების და უწყებების, საკავშირო-რესპუბლიკური ქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მთავარ ამოცანად 1990 წელს ჩაითვალოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლების შესრულებისათვის ზომების მიღება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შემდგომ გაძლიერებას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში არსებული ნეგატიური მოვლენების დაძლევას, უმოკლეს ვადაში სახალხო მეურნეობაში გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას და პროგრესის გზით რესპუბლიკის თანამიმდევრული წინსვლის მტკიცე საფუძვლის შექმნას.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამეხისტოებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მიერ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განხილვის დროს გამოთქმული კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები და მიიღონ მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

12. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივმა კომისიებმა დაწესონ კონტროლი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის გეგმის დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 186—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

252 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს ამ ნორმატიულ-სამართლებრივ ღონისძიებებს მისი შესრულებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 187—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ათხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ განსაზღვრული შესაბამისი ბიუჯეტების (რომელთა შემოსავლისა და გასავლის მოცულობა შეადგენს 1.304.494 ათას მანეთს) გათვალისწინებით შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 4.238.152 ათასი მანეთის ოდენობით.

განსაზღვროს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავალში საკავშირო ბიუჯეტიდან გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოთილი სახსრები 655.541 ათასი მანეთისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში ვამოსავლენი დამატებითი შემოსავლები — 210.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსავალი 3.680.450 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები 1.777.359 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ასიგნებანი 2.209.134 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯზე — 546.700 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახი ასიგნებანი 44.742 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 2.933.658 ათასი მანეთის ოდენობით და გარდა ამისა საკასო საბრუნავი სახსრები 1990 წლის 1 იანვრისათვის 37510 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ განსაზღვრული საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1990 წლის ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში შემდეგი ოდენობით:

(ათასი მანეთი)

1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	117.612,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	90.550,7
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	34.530,0
4. ქალაქი თბილისი	466.039,9
5. ქალაქი ქუთაისი	73.783,0
6. ქალაქი ფოთი	19.352,8
7. ქალაქი ჭიათურა	13.707,3
8. ქალაქი რუსთავი	48.255,9
9. ქალაქი გორი	10.899,3
10. ქალაქი ტყიბული	7,500,0
11. ქალაქი ზუგდიდი	8.701,2
12. ქალაქი წყალტუბო	9.416,4
13. აბაშის რაიონი	5.854,7
14. ადიგენის რაიონი	5.381,1
15. ამბროლაურის რაიონი	5.032,0
16. ასპინძის რაიონი	4.183,2
17. ახალქალაქის რაიონი	10.657,8
18. ახალციხის რაიონი	10.363,1
19. ახმეტის რაიონი	7.781,7
20. ბოგდანოვკის რაიონი	7.197,2
21. ბოლნისის რაიონი	10.534,3
22. ბორჩალის რაიონი	7.672,1
23. გარდაბნის რაიონი	13.042,5
24. გორის რაიონი	10.951,3
25. გურჯაანის რაიონი	11.117,0
26. დმანისის რაიონი	7.405,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ლუშეთის რაიონი	7.471,7
28. ვანის რაიონი	6.484,3
29. ზესტაფონის რაიონი	11.597,4
30. ზუგდიდის რაიონი	10.071,0
31. თეთრი წყაროს რაიონი	6.760,5
32. თელავის რაიონი	13.290,0
33. თერჯოლის რაიონი	6.993,7
34. თიანეთის რაიონი	4.319,0
35. კასპის რაიონი	7.550,1
36. ლაგოდეხის რაიონი	8.401,2
37. ლანჩხუთის რაიონი	7.051,8
38. ლენტეხის რაიონი	4.181,1
39. მიიკოვსკის რაიონი	6.030,0
40. მარნეულის რაიონი	17.035,0
41. მარტვილის რაიონი	8.204,7
42. მესტიის რაიონი	6.288,8
43. მცხეთის რაიონი	7.723,8
44. ოზურგეთის რაიონი	15.700,0
45. ონის რაიონი	3.765,7
46. საგარეჯოს რაიონი	8.119,0
47. სამტრედიის რაიონი	9.404,8
48. სარჩერის რაიონი	7.150,4
49. სენაკის რაიონი	8.867,1
50. სიღნაღის რაიონი	8.103,9
51. ქარელის რაიონი	7.814,2
52. ყაზბეგის რაიონი	2.712,0
53. ყვარლის რაიონი	7.108,5
54. ჩოხატაურის რაიონი	5.750,0
55. ჩხოროწყუს რაიონი	6.616,2
56. ცაგერის რაიონი	5.100,0
57. წალენჯიხის რაიონი	7.922,0
58. წალკის რაიონი	8.146,9
59. წითელი წყაროს რაიონი	6.267,0
60. ხარაგაულის რაიონი	5.964,4
61. ხაშურის რაიონი	8.660,5
62. ხობის რაიონი	6.945,0
63. ხონის რაიონი	7.400,3
ს უ ლ	1.304.494,3

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.

№ 188—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

254 საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 4139642 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3996846 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 142796 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 189—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

255 საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნა.

2. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 190—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

256 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოკვლევის კომისიის დასკვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით შექმნილი ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მუშაობა და წარმოდგენილი დასკვნა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კომისიამ მოკვლეული მასალები გადასცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილ დეპუტატთა შესაბამის კომისიას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 191—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

257 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობიდან ზოგიერთი დეპუტატის განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩევასთან დაკავშირებით განთავისუფლდნენ:

დეპუტატი ვარეენტი რომანოზის ძე **აბზიანიძე** — მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატი გიორგი დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატი ლანა ლევანის ასული **ღოღობერიძე** — ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატი ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია** — სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატი ჯანსუღ ავდიდის ძე **ჩარკვიანი** — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 192—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

258 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხთა მუდმივი კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ბაკურ დავითის ძე გულუა — დეპუტატი ქალაქ ფოთის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

კომისიის წევრები:

ვენერა სიმონის ასული **ახანიძე** — დეპუტატი ბოლნისის რაიონის ბოლნისის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნელი დმიტრის ასული **ბუთხუზი** — დეპუტატი მცხეთის რაიონის მუხრანის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნუგზარ ელადიმერის ძე **გვირჯიშვილი** — დეპუტატი ახალციხის რაიონის ჯაფარიძის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი სამანდატო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ლილი შალვას ასული **დაუთაშვილი** — დეპუტატი დმანისის რაიონის განთიადის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ილია თემურაზის ძე **თოდუა** — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის ცაიშის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიკოლოზის ძე **ნოზაძე** — დეპუტატი ქარელის რაიონის აგარის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნარგიზა კალისტრატეს ასული **ჭარქაშაძე** — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

არსენ ზაქარიას ძე **ღოლიჯაშვილი** — დეპუტატი გორის რაიონის ხიდისთავის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

კლარა თუბუშის ასული **ღურწკაია** — დეპუტატი გალის რაიონის ჭუბურხინჯის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

გულნარა ალექსანდრეს ასული **ჩაგელიშვილი** — დეპუტატი ქ. ჭიათურის კაცხის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი საგარეო საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** — დეპუტატი ქ. ქუთაისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

მიხეილ ივანეს ძე **წიკლაური** — დეპუტატი მცხეთის რაიონის წეროვნის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 193—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

259 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს იმიგრაციის საკითხთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას იმიგრაციის საკითხთა მუდმივი **კომისია** 15 კაცის შემადგენლობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე

თეიმურაზ ნოდარის ძე **ჩხეიძე** — დეპუტატი ახალციხის რაიონის ვალეს საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის ძოვალეობისაგან.

კომისიის წევრები:

ხუთაბ ივანეს ძე **ანჯაფარიძე** — დეპუტატი გალის რაიონის აჩიგვარის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი სახალხო განათლებისა და **კულტურის** კომისიის წევრის ძოვალეობისაგან.

კარლო კონსტანტინეს ძე **გარდაფხაძე** — დეპუტატი ქ. თბილისის საბჭოს საარჩევნო ოლქისაგან.

მეერაბ ალექსის ძე **გოხელაშვილი** — დეპუტატი ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

ვალერი ვიტალის ძე **დანილოვი** — დეპუტატი ქ. ფოთის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი **ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

აკაკი არჩილის ძე **დვალიშვილი** — დეპუტატი ხულოს რაიონის ხიხაძირის საარჩევნო ოლქისაგან.

მაგული შალვას ასული **ვაშაკიძე** — დეპუტატი ქ. თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს სახალხო მოხმარების საქონლისა **და** მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნოდარ გრიგოლის ძე **ვაშაძე** — დეპუტატი მესტიის რაიონის ხაიშის საარჩევნო ოლქისაგან.

მარიამ დურმიშხანის ასული **ირემაშვილი** — დეპუტატი მცხეთის რაიონის მცხეთის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნუგზარ პეტრეს ძე **მგალობლიშვილი** — დეპუტატი ქ. სოხუმის კალინინის საარჩევნო ოლქისაგან.

ლალი ვალიკოს ასული **ოტიაშვილი** — დეპუტატი სიღნაღის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს მშენებლობისა დ საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ნელი ვლადიმერის ასული **პაპუჩელაშვილი** — დეპუტატი დუშეთის რაიონის ბაზალეთის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ირაკლი სერგოს ძე **ყორდანია** — დეპუტატი ქ. თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქისაგან.

მამიკონ გეორქის ძე **ფიდანიანი** — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის არაგვის საარჩევნო ოლქისაგან.

ნათელა იონას ასული **ჭითანავა** — დეპუტატი ჩხოროწყუს რაიონის ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქისაგან, და განთავისუფლდეს იგი სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 194—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

260 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის მუდმივი კომისია 14 კაცის შემადგენლობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

რისმაგ ბენიამინის ძე **გორდეზიანი** — დეპუტატი ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

ბონდო დავითის ძე **გიორგაძე** — დეპუტატი ქ. თბილისის საბურთალოს საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ლუიზა გიორგის ასული **გუდაძე** — დეპუტატი ქ. რუსთავის 7 ოქტომბრის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

გაიოზ ალექსანდრეს ძე **ვათიაშვილი** — დეპუტატი ქ. გორის 26 კომისრის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ლალი ვარლამის ასული **თევდორაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის 7 ოქტომბრის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ბუნების დაცვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ალექსანდრე შოთას ძე **იოსელიანი** — დეპუტატი გაგრის კურორტის საარჩევნო ოლქისაგან და გახთავისუფლდეს იგი მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

მურად იახია ოღლი **მამედოვი** — დეპუტატი ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქისაგან.

ვალერიან ბორისის ძე **მელნიკოვი** — დეპუტატი ქ. ბათუმის აბაშიძის საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი საგეგმო-სამეურნეო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

სერგო ტარასის ძე **რიგვავა** — დეპუტატი წალკის რაიონის წალკის საარჩევნო ოლქისაგან.

არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქისაგან.

მირზა მიხეილის ძე **ქორქაშვილი** — დეპუტატი წყალტუბოს მაღლაკის საარჩევნო ოლქისაგან.

ლევან ლევანის ძე **შარაშენიძე** — დეპუტატი მარნეულის რაიონის სადახლოს საარჩევნო ოლქისაგან და განთავისუფლდეს იგი ახალგაზრდობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

სულხან თევდორეს ძე **ცინცაძე** — დეპუტატი ქ. თბილისის გ. ტაბიძის საარჩევნო ოლქისაგან და გახთავისუფლდეს იგი ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

დავით ახმედის ძე **ხახუტაიშვილი** — დეპუტატი ქობულეთის რაიონის ქობულეთის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 195—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

261 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივი კომისიის ეკოლოგიის საკითხთა მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივი კომისია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის საკითხთა მუდმივ კომისიად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 196—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

262 დეპუტატ ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 197—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

263 საქართველოს სს რესპუბლიკაში რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) ჩატარების წესის შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) წესის შემმუშავებელი კომისია.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ხურაბის ძე **ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

კომისიის წევრები:

ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

აკაკი ვიქტორის ძე **ბაკრაძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე.

ირაკლი პროკოფის ძე **გოცირიძე** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი.

ივანე ხიგოს ძე **გუბაზი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ელექტრული მექანიკანე.

ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

ვარლამ ვლადიმერის ძე **კეშელავა** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი.

დურმიშხან ანთიმოზის ძე **ლორია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე.

მიხეილ მიხეილის ძე **მარტინოვი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მექანიკური ქარხნის მხეხავი.

ლევან ნიკოლოზის ძე **მატარაძე** — პერსონალური პენსიონერი.

ბაგრატ ბესარიონის ძე **ტეხოვი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ამირან ქესკინის ძე **ღაღაიშვილი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ჯონი გრიგოლის ძე **ხეცურიანი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 198—XI ს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

264 ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ 18 ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ.

2. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲔᲡ:

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲐᲕᲓᲘᲓᲘᲡ ᲫᲔ **ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ** — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲛᲚᲝᲑᲐ „ᲪᲝᲪᲮᲜᲘᲡ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

ᲨᲣᲨᲘᲐ ᲢᲘᲛᲝᲗᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ **ᲐᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲫᲔ** — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Ა. ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲔ.

ᲐᲙᲐᲪ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ **ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ** — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ **ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ,** ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ **ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ** — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Გ. ᲬᲘᲠᲘᲗᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲐᲡᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ — **ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲠᲘᲡ“** ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲛᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ **ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲔᲜᲘᲫᲔ** — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Ა. ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲚᲘ.

ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ **ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ **ᲬᲔᲕᲠᲘ,** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო, რუსთაველისა და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

გია ბიძინას ძე **მურღულია** — თბილისის მე-6 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნოდარ რევაზის ძე **ნათაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

თედო გიორგის ძე **ნინიძე** — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბაგრატ ბესარიონის ძე **ტეხოვი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სარგის სოლომონის ძე **ცაიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

გიორგი შალვას ძე **ციციშვილი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

დავით ახმედის ძე **ხახუტაიშვილი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ბესარიონ არკადის ძე **ჯორბენაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.

№ 199—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

265 მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისია მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შესასწავლად.

2. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ:

თავმჯდომარე

ნოდარ რევაზის ძე **ნათაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ კალენიკეს ძე **გამყრელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

წევრები:

ლევან ანდრიას ძე **ალექსიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

გია ვალენტინის ძე **ანჯაფარიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, ჟურნალისტი.

ჯამბაკურ კაპიტონის ძე **ბაქრაძე** — ადვოკატი.

ვახტანგ ოლიფანტეს ძე **კაჭახიძე** — ადვოკატი.

ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ აკაკის ძე **ლომიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გენერალური **დირექტორი.**

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზა არჩილის ასული **ორჯონიკიძე** — პოეტი, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი.

გიორგი ტერენტის ძე **ტყეშელიაძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი.

ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი.

ლანა ლევანის ასული **ღოღობერიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, კინორეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ჯანსუღ ავდიდის ძე **ჩარკვიანი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 200—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

266 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისია 19 კაცის შემადგენლობით.
2. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ:

კომისიის თავმჯდომარე

ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

კომისიის წევრები:

ლევან ანდრიას ძე **ალექსიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ისიდორეს ძე **ბერძენიშვილი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

ანატოლი დმიტრის ძე **დიხტიარი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილქალაქმშენის“ № 5 სახლსაშენებელი კომბინატის ბრიგადირი.

ალბერტ ნიკიფორეს ძე **თავხელიძე** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

გივი ზაქარიას ძე **ინწკირველი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

თამაზ კასიანის ძე **კვაჭანტირაძე** — ჟურნალ „ბალავარის“ რედაქტორი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანთავმჯდომარე.

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

რონინ ვენერის ძე **მეტრეველი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სერგო ტარასის ძე **რიგვავა** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

დავი გიორგის ძე **სტურუა** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი.

ბაგრატ ბესარიონის ძე **ტეხოვი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ვიქტორ აბიბოს ძე **შარაშენიძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

ეფა შაჩროს ძე **შერმადინი** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ლენინგორის რაიონის სოფელ არგვისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ალექსანდრე ივანეს ძე **ჯავახიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ბესარიონ არკადის ძე **ჯორბენაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი
ნაფი გრიგოლის ძე ჯუსოითი — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუფბანიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 201—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

267 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ

განიხილა რა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური ორგანოების წინადადებანი, „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი სერგოს ძე ყორდანია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები:

რაფიელ შალვას ძე **ბარათაშვილი** — ამიერკავკასიის მეტალურგშენის № 1 სამშენებლო ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადის ბრიგადირი.

ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე** — ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის პროფსაბჭოს წევრი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი:

ტარიელ ნიკოლოზის ძე **კულულაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ნანა აკაკის ასული **ავალიანი** — ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდადის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლიმა პავლეს ასული **არშბა** — ქ. სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

გრიგოლ რევაზის ძე **ბარამიძე** — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

გიორგი (გურამ) ვახტანგის ძე **გამრეკელი** — თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი.

ანზორ ხასანის ძე **გოგმაჩაძე** — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

თამარ ნოდარის ასული **დავითაძე** — წითელი წყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **იზორია** — ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ვაჟა ივანეს ძე **იმნაიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელი.

ლუდვიგ ლავრენტის ძე **კოჩიევი** — საოლქო საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი, ქალაქი ცხინვალი.

პარმენ იორამის ძე **მარგველაშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენელი.

რომან სევერიანის ძე **მიმინოშვილი** — მწერალი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ მთავარი რედაქტორი.

ჯერონ ნიკოლოზის ძე **ფაჩუაშვილი** — საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგე.

კონსტანტინე ინოკენტის ძე **ჩერეპანოვი** — გენერალ-მაიორი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 202—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

268 რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 1 იანვრამდე განიხილოს და გადაწყვიტოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემიდან მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სამსახურის გამოყოფისა და მუშაობის ამ უბნის მართვის დამოუკიდებელი, უშუალოდ საქართველოს სსრ მთავრობისადმი ანგარიშვალდებული ორგანოს შექმნის საკითხი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 203—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

269 საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის გაძლიერების, შესაბამისი სამსახურის სტატუსის ამაღლების საკითხის აქტუალობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაევალოს 1990 წლის 1 მარტამდე მოამზადოს და შეიტანოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადებანი გარემოს დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ორგანოს შექმნისა და მოცემულ სფეროში ამჟამად არსებული ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 204—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

270 **ᲐᲛᲮ. Ზ. Ა. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘᲡᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲒᲐᲖᲔ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 14 აპრილის დადგენილება ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲪᲘᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 205—XI ს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

271 **ᲐᲛᲮ. ნ. Ა. ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲒᲐᲖᲔ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 14 აპრილის დადგენილება ამხ. ნოდარ ამროსის ძე **ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐᲡ** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲪᲘᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 206—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

272 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ“ და „მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და მარნეულის რაიონული საბჭოების გაერთიანების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისისა და 12 სექტემბრის ბრძანებულებებთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში არის: აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მარტვილის, მესტიის, მცხეთის, ოზურგეთის, ონის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, წითელი წყაროს, ხარაგაულის, ხაშურის, ხობის, ხონის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო და ჭიათურა“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 207—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

273 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წლის 15 აპრილისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 5 ივნისისა — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1989 წლის 9 ივნისისა — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 28 ივნისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 6 ივლისისა — „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“;

1989 წლის 10 ივლისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 10 ივლისისა — „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 15 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 1 სექტემბრისა — „ყოფილ ერეტივების (კოლმეურნეობების გარდა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“;

1989 წლის 21 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ“;

1989 წლის 25 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1989 წლის 30 ოქტომბრისა — „1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

1989 წლის 30 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სახელწოდების შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კბილაშვილი.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 208—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

274 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1989 წლის 21 აპრილისა ამხ. არმაზ რომანოზის ძე სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1989 წლის 28 აპრილისა ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1989 წლის 28 აპრილისა ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1989 წლის 26 ივლისისა ამხ. არჩილ გრიგოლის ძე გოგელიას საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1989 წლის 11 ოქტომბრისა ამხ. ბორის ერასტის ძე სარალიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 209—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

275 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 21 აგვისტოს გრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 210—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

276 თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებისა და რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1989 წლის 29 მარტისა — ამხ. ლეილა ივანეს ასული ნარიმანიძისა და თეიმურაზ შოთას ძე ანდღულაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ;

1989 წლის 6 ივლისისა — ამხ. ამირან ივანეს ძე მაზმიშვილის ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულებისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ პირადი განცხადების საფუძველზე;

1989 წლის 6 ივლისისა — ამხ. დავით დავითის ძე ნადაშვილის წითელი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

1989 წლის 6 ივლისისა — ამხ. იოსებ ვალერიანის ძე უტიაშვილის გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წლის 3 აგვისტოსი — ამხ. ავთანდილ სიმონის ძე თელიაშვილის ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. ზაურ დავითის ძე კალანდაძის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. ზურაბ ოთარის ძე წურწუმიას მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. ყადიმ აღაბეგის ძე აღაბეგოვის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. ნუნუ ალექსანდრეს ასული ალასანიას თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. გიორგი გივის ძე მიქანაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. სერგო ვაგანის ძე არუთიანიანის ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ;

1989 წლის 13 ოქტომბრისა — ამხ. გივი ჭაკუნას ძე ბერაძის ქ. წყალტუბოს სახალხო სასამართლო სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 211—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

277 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნისა“ და ამ დადგენილებაში დამატებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები:

1989 წლის 17 აპრილისა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წლის 28 აპრილისა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ... სიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 212—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

278 „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 21 აგვისტოს დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.
№ 213—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

279 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს:

ოთარ აკაკის ძე **ბაქანიძეს** — კათედრის გამგეს, პროფესორს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ყიასაშვილს** — კათედრის გამგეს, პროფესორს.

ზურაბ დავითის ძე **ჭარხალაშვილს** — კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2395—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

280 თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ამირან თედორეს ძე **გაგუას** — სოლისტს.

თეიმურაზ აკაკის ძე **გუგუშვილს** — სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა მიხეილის ასულ **კალმახალიძეს** — სოლისტს.
ნარგიზა გივის ასულ **მაღლაფერიძეს** — სოლისტს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

თამაზ ერმალოს ძე **ჯაფარიძეს** — დირიჟორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაგულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2394—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

281 თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილისათვის **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებს:

ალექსანდრე ნიკოლზის ძე **სლოვინსკის** — მხატვარს.
ოლეგ მიხეილის ძე **ქოჩაკიძეს** — მთავარ მხატვარს.
იური გიორგის ძე **ჩიკვაიძეს** — მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაგულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2393—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

282 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ლალი ნიკოლოზის ასულ **მიქავას** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პიანისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო დავითის ასულ **ქათამაძეს** — თბილისის ე. სარაჯიშვილის სახელმწიფო სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2392—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

283 ამხ. ზ. ა. კოზერიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მცენარეთა დაცვის საოლქო სადგურის უფროსს ამხ. ზაქარია ალექსის ძე **კობერიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2388—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

284 ამხ. მ. შ. კოკოლევასათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ქ. ცხინვალის № 2 აფთიაქის გამგეს ამხ. მარია შალვას ასულ **კოკლევას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2390—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

285 ამხ. ა. ს. სვანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ავთანდილ სამსონის ძე **სვანს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2387—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

286 ამხ. თ. ვ. ქევხიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური ვოკალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს კულტურის ფონდის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს თემურ ვასილის ძე **ქევხიშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2391—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

287 ამხ. გ. ი. ღუდუშაურისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ბაიკალ-ამურის მაგისტრალის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქმამშენის“ უფროსს ამხ. გოგი ილიას ძე ღუდუშაურს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ სატიტო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 10 ნოემბერი.
№ 2389—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

288 ამხ. გ. დ. ალექსიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სამალეტო ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ ბალეტმაისტერს ამხ. გიორგი დიმიტრის ძე ალექსიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ სატიტო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი 1989 წლის 14 ნოემბერი.
№ 2396—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

289 სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის მუშაკებისათვის სატიტო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ სატიტო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ბოდარ ალექსანდრეს ძე **ბეკაურს** — მსახიობს.
ნოდარ პლატონის ძე **მასხულიას** — მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მიხეილის ძე **რატიანს** — მსახიობს.
სერგო აკაკის ძე **პაჭკორიას** — მსახიობს.
ნოდარ მათეს ძე **ქაროსანიძეს** — მსახიობს.
ედემ სერგოს ძე ჯაიანს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

ვახტანგ ეგნატეს ძე **სალაყაიას** — დირექტორ-განმკარგულებელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"

ფრაუნდ მიხეილის ძე **არღვლიანს** — მსახიობს.
დავით ივანეს ძე **გაჩეჩილაძეს** — მსახიობს.
ომარ ვახტანგის ძე **ელერდაშვილს** — მსახიობს.
ლეილა ლევანის ასულ **კალანდიას** — მსახიობს.
ლიანა ნიკოლოზის ასულ **მიქაშავიძეს** — მსახიობს.
ლორინა ოთარის ასულ **პაპუაშვილს** — მსახიობს.
გიზო ნოდარის ძე **სირაძეს** — მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

დიანა ივანეს ასულ **დათუკიშვილს** — მთავარ მხატვარს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

დავით ილიას ძე **კვაჭაძეს** — დირექტორის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 22 ნოემბერი.
№ 2404—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

16 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განხილულ იქნა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიასთან დაკავშირებული საკითხები, საკითხი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხები.

ყველა მათგანზე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება.

*

* *

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომები

17 ნოემბერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ი. ლაღიძემ.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი თბილისში 9 აპრილსა და აფხაზეთში 15 ივლისს მომხდარი ტრაგიკული ამბების დროს დაღუპულთა. აქარაში სტიქიის მსხვერპლთა. აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების დ. დ. დიასამიძის, ს. ვ. დურმიშიძის, გ. ნ. ჯიბლაძისა და ა. ნ. გლურჯიძის ხსოვნას, რომლებიც მეთერთმეტე სესიის შემდგომ პერიოდში გარდაიცვალნენ.

სხდომაზე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა თ. ი. ხახარაძემ. სამანდატო კომისიის მოხსენებას შეეხეთ სესიამ ცნო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების: ნ. რ. ნათაძის, შ. გ. ფიდანიანის, ა. გ. ბოგილიას, მ. ი. მამედოვის, ნ. ზ. ჭავჭავაძის, მ. მ. ქორქაშვილის, ნ. პ. მგალობლიშვილის, დ. ა. ხახუტაიშვილის, რ. ბ. გორდეზიანისა და მ. ა. გოხელაშვილის უფლებამოსილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ა. ჭითანავამ სესიის განსახილველად შეიტანა ამხ. ო. ე. ჩერქეზიას განცხადება პირადი თხოვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ. სესიამ დაკმაყოფილა ო. ე. ჩერქეზიას თხოვნა.

დეპუტატების ე. ნ. შინგელაიას და ნ. რ. ნათაძის თხოვნით სესიას თავისი გადაწყვეტილების შესახებ ახსნა-განმარტება მისცა ო. ე. ჩერქეზიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ნ. ა. ჭითანავამ შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის არჩევის შესახებ. სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევის პროცედურასთან დაკავშირებით ცალკეულ საკითხებზე გამოვიდნენ დეპუტატები ლ. ლ. ღოღობერიძე, ბ. დ. გულუა, თ. ნ. ჩხეიძე, თ. ი. უჩანეიშვილი, გ. ა. ყანჩელი და ნ. რ. ნათაძე.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

შემდეგ დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

3. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

4. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

5. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების დანიშნა.

7. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა და 1989 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

8. საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1989 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

9. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის ინფორმაცია.

10 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოსაკვლევად შექმნილი კომისიის დასკვნა.

11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.

12. რეფერენდუმის შესახებ კანონის შემმუშავებელი კომისიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ენის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის შემმუშავებელი კომისიის თაობაზე.

14. მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის თაობაზე.

15. საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაცია.

16. რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნა.

17. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატ ე. ნ. შენგელაიას წინადადებით სესიის დღის წესრიგში შეიტანეს პუნქტიც „სხვადასხვა“.

სესიის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ დეპუტატებს აუწყა, რომ წინა დღით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებათა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ უხეშად დაირღვა ამ სესიის მოწვევისა და მოწყობის წესი და აგრეთვე, რომ მასზე განიხილეს საკითხები, რომლებიც საოლქო საბჭოს კომპეტენციას აღემატება. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 115-ე მუხლის მეათე პუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ კანონს არ შეესაბამება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებანი.

დღის წესრიგის პირველ პუნქტთან დაკავშირებით მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან დეპუტატების ბ. ი. ვაშაკიძის, ვ. ჰ. ქოჩოიანის, ჯ. ვ. მარგველიძის, ქ. ს. მამედოვის, ა. დ. ზუთაბაშვილის, ჯ. ი. პატიაშვილის გამოყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ არიან დეპუტატები: ა. ნ. თავხელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ე. ნ. შენგელაია — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ვ. რ. აბზიანიძე — ქუთაისის სახლთაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ლ. ლ. ღოღობერიძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი რეჟისორი, ჯ. ა. ჩარკიანი — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, გ. დ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების კანონპროექტების თაობაზე გაეკეთა ამ კანონპროექტების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, 1989 წლის 20 ივლისის დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღების შესახებ, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონთა მოქმედების პირობების, რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის განხორციელებისათვის, ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის წევრამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის საკითხებზე, რომლებიც გააკეთეს დეპუტატებმა ვ. ა. შარაშენიძემ, ა. ი. კავსაძემ, ჯ. ა. ჩარკვიანმა, ნ. ი. ლაღიძემ, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ ზ. მ. რატიანმა.

მოხსენებისა და ინფორმაციების გამო კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ე. დ. ამაშუკელი, თ. გ. ლეკიშვილი, ნ. ა. პეტრიაშვილი, მ. მ. ხანანაშვილი, ნ. მ. პანკოვა, ო. დ. კალანდარიშვილი, ნ. რ. ნათაძე, გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ი. გოგიბერიძე, დეპუტატები ა. ქ. ლალიაშვილი, ი. ი. ხუციშვილი, ნ. ზ. ჭაკვეტაძე, ნ. ვ. გურგენიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი მ. ი. ბერძენიშვილი, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ო. დალაქიშვილი, დეპუტატები ვ. ვ. კეშელავა, დ. ა. ხახუტაშვილი, რ. ჰ. კონცელიძე, რ. ი. დავითაშვილი, ზ. ა. ლომაძე, თ. ვ. კუნუნელა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ე. ნ. შენგელაია, დეპუტატები ვ. ო. კობახია, შ. გ. შანიძე, ნ. პ. მგალობლიშვილი.

სესიის დროს კანონპროექტების და სხვა საკითხების გამო შემოვიდა ბევრი წინადადება და მოსაზრება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას დაევალა გააანალიზოს თითოეული მათგანი და წარუდგინოს თავისი დასკვნა სესიას, რომლის განხილვის შემდეგ დამტკიცდება კანონპროექტები.

დღის წესრიგის მიუშვიდ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. გ. ვარძელაშვილმა.

შემდეგ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა დ. ნ. დვალიშვილმა.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიათა თანამოხსენება, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ლ. ი. ხაბურზანიამ.

*

* *

18 ნოემბერს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ განაგრძო მუშაობა. სხდომის დასაწყისში საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გ. გუმბარიძემ განაცხადა, რომ ამ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე იმყოფება ჯგუფი მოქალაქეებისა, რომლებსაც დიდი ხანია არსებითი პრეტენზიები აქვთ რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებთან. მან აღნიშნა, რომ ამ ადამიანების მიმართ საჭიროა თანაგრძნობისა და ყურადღების გამოჩენა და დაადგინა წინადადება შექმნან კომისია, რომელიც განიხილავს ამ პრეტენზიებს და გამოიტანს შესაბამის დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აწუხებთ. სესიამ შესთავაზა საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს, დეპუტატ ნ. რ. ნათაძეს ჩამოაყალიბოს ასეთი კომისია, ამასთან მისი წევრების შემადგენლობა შეუთანხმოს მოქალაქეთა აღნიშნულ ჯგუფს.

შემდეგ სესიაზე განხილულ იქნა დღის წესრიგის მეშვიდე და მერვე საკითხები. მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ი. ო. ანდრიაძე, გ. ე. ჩიგოგიძე, ი. ა. მენალარიშვილი, ი. ვ. ფარანგიშვილი, ბ. ზ. მაყაშვილი, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. გ. შაშიაშვილი, დეპუტატი ნ. ნ. ნეფედოვი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. ვ. ჯინჯიხაძე.

განცხადებებითა და წინადადებებით სესიაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები ე. გ. ჭილაია, ჯ. ი. გუგუჩია, დეპუტატები ლ. ლ. ღოლობერიძე და კ. კ. გარდაფხაძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

სესიამ დაამტკიცა (ორმა თავი შეიკავა) დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

შემდეგ დეპუტატებმა მიიღეს (ერთმა თავი შეიკავა) კანონი საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. მიიღეს აგრეთვე დადგენილება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

შესვენების გამოცხადების წინ დეპუტატებმა ნ. რ. ნათაძემ სესიას აცნობა, თუ როგორ სრულდება მისთვის დაკისრებული დავალება კომისიის ჩამოყალიბების შემდეგ.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხი იყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის ინფორმაცია, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. დ. ალექსიძემ.

შენიშვნებითა და წინადადებებით ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატი ნ. რ. ნათაძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ე. ნ. შენგელაია, თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე ა. ნ. სურგულაძე.

სესიამ მოიწონა კომისიის დასკვნა და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით ქალაქ თბილისში1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარეშეშებათა გამოსაკვლევად შექმნილი კომისიის დასკვნა სესიას წარმოუდგინა ამ კომისიის წევრმა ე. ნ. შენგელაიამ.

ამ საკითხზე შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ. ვ. გამყრელიძე, დეპუტატები ნ. რ. ნათაძე, ვ. ა. შარაშენიძე, გ. დ. ლორთქიფანიძე, ა. გ. კარანაძე.

ხმების აბსოლუტური უმრავლესობით (8 წინააღმდეგი იყო, 10-მა თავი შეიკავა) სესიამ მოიწონა კომისიის დასკვნა და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დასკვნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტების თაობაზე სესიას წარუდგინა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ რ. დ. ჯახიამ. აღინიშნა, რომ დასკვნა გამოტანილია ამ კანონპროექტების სახალხო განხილვის დროს შემოსულ წინადადებათა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე.

თავიი მოსაზრებანი წარმოდგენილი დასკვნის შესახებ გამოთქვა დეპუტატმა ვ. ვ. კეშელავამ. დეპუტატ ე. ნ. შენგელაიას შეკითხვებს პასუხი გასცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგემ გ. ზ. ინწკირველმა.

ერთხმად მტკიცდება საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“. იღებენ დადგენილებას ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

მტკიცდება საქართველოს სსრ კანონები „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების“ და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ“.

დეპუტატები წონა დღით მოსმენილ კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების ინფორმაციასთან დაკავშირებით იღებენ შესაბამის დადგენილებებს საქართველოს სსრ მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის შემოღების შესახებ წინადადებათა შემუშავების, ერთიანული საჯარისო ფორმირებების აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის წევევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესებისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის თაობაზე, საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების შესახებ წინადადებათა შემუშავების თაობაზე. რაც შეეხება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონების მოქმედების პირობებს, ეს უკვე ასახულია კონსტიტუციაში ცვლილებებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ იწურება ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა, სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნოს 1990 წლის 25 მარტს, კვირას, ხოლო ოცდამეერთე მოწვევას ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნები — 1990 წლის 17 ივნისს, კვირას.

სესიამ მიიღო კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ აღდგენილია მარტვილის, ოზურგეთის, ხარაგაულის, სენაკისა და ხონის რაიონების სახელწოდებანი და ქალაქი მარნეული გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

მიიღეს დადგენილებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხთა, იმიგრაციის, საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან გაწვეულ ახალგაზრდობასთან მუშაობის მუდმივ კომისიათა შექმნის შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ გ. ს. შარაძემ გამოთქვა სურვილი სახლვარგარეთის ქართულ ემიგრაციასთან კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა შეისწავლოს ეს საკითხი და წარმოადგინოს თავისი წინადადებანი.

სესიამ მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მუდმივი კომისია გარდაიქმნას ეკოლოგიის საკითხთა მუდმივ კომისიად.

მიიღეს დადგენილებები საქართველოს სს რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების წესის შემმუშავებელი, ენის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის შემმუშავებელი, მოქალაქეთა ჯგუფის მრავალი წლის საჩივრების შემსწავლელი კომისიების შექმნის თაობაზე.

სესიამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმული საკითხთა შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. ამ საკითხის განხილვისას გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ბ. ბ. ტეხოვი.

მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ.

დღის წესრიგის მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე პუნქტებზე სესიამ მიიღო დადგენილებები საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციისა და რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის შესახებ.

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სესიამ დაამტკიცა დადგენილება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

სესიაზე მთავრობის საქმიანობის პროგრამით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. ა. ჭითანავა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

მოხსენება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე გააკეთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ვ. ა. კვარაცხელიამ.

სესიამ დაამტკიცა შესაბამისი კანონი და დადგენილებანი.

დეპუტატების ა. ზ. ღოლიჯაშვილისა და გ. ა. ვათიაშვილის შეკითხვას უპასუხა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ლ. ა. ღურწკაიამ.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემდგომ მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები ნ. რ. ნათაძე, ჯ. ა. ჩარკვიანი, ნ. პ. მგალობლიშვილი, ლ. ლ. ღოღობერიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ა. ი. მარგველაშვილი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. იმნაძე.

დასასრულ სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ მუშაობა **დაამთავრა.**